# სარბიელი

სპორტული გაზეთი

ხუთშაბათი 21 ნოემბერი 2002 №222 (1744)

ფასი 50 თეთრი


# საქართველო შემზარავი ქვეყანაა



# დაქირავებული სიკვდილი

## უშინ დიდი ქართველი ფეხბურთელი კახი ასათიანი მოკლეს



გუშინ ვაკეში, ირაკლი აბაშიძის ქუჩაზე საკუთარ მანქანაში მოკლეს კახი ასათიანი, დიდი ფეხბურთელი, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე.

საღამოს, დაახლოებით რვის ნახევარზე კახი ასათიანის კუთვნილი „მერსედესი" აბაშიძის 37-ში გაჩერდა. მძღოლი იქვე სადარბაზოში შევიდა ასათიანების ოჯახის ახლობელთათვის მოსაწვევების გადასაცემად. ამ დროს ავტომატიდან გასროლის რამდენიმე ყრუ ხმა ისმის — მანქანაში დარჩენილ კახი ასათიანს უკნიდან ესროლეს.

*პაატა გომელაური, შსს-ს პრესსამსახურის უფროსი:*

— შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ამოღებულია ავტომატის 16 მასრა, სავარაუდოდ, მაყუჩიანი ავტომატებიდან ისროდნენ. დადგენილია ავტომანქანა, რომლითაც მკვლელები მოძრაობდნენ.

კახი ასათიანს ათამდე ტყვია აქვს მოხვედრილი, მათგან ორი, როგორც თქვეს, საკონტროლო. შემთხვევის ადგილთან ახლო-მახლო მყოფთაგან სროლის ხმა არავის გაუგია, კახი ასათიანის ცხედარი პირველად მძღოლმა ნახა. მკვლელობის ვერსია რამდენიმეა, ერთ-ერთი გარდაცვლილის ბიზნესს უკავშირდება.

**სარბიელელები თანავუგრძნობთ კახი ასათიანის ოჯახს**







**კახი ასათიანი**

01. 01. 1947

1966-1975 წლებში თამაშობდა თბილისის „დინამოში".

სსრკ ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ჩაატარა 217 მატჩი, გაიტანა 27 გოლი.

სსრკ-ს ნაკრებში ჩაატარა 16 მატჩი (1968-1970, 1972 წლები), გაიტანა 5 გოლი.

1970 წლის მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე.

1967, 1969, 1972 წლებში მოიპოვა სსრკ-ს ჩემპიონატების ბრინჯაოს მედალი.

„33 საუკეთესო" ფეხბურთელის სიაში მოხვდა სამჯერ: 1969 (პირველ ნომრად), 1970 (მესამე ნომრად), 1967 (უნომრო).

ევროთასებზე (უეფას თასი) ითამაშა 8 მატჩი, გაიტანა 1 გოლი.

1978-82 წლებში თბილისის „დინამოს" გუნდის უფროსი.

1987 წელს (აგვისტომდე) თბილისის „დინამოს" მთავარი მწვრთნელი.

1990-2000 წლებში საქართველოს სპორტისა და ტურიზმის მინისტრი, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე.

# თქვენი იყოს, წაიღეთ

## ფედერაციის ლოგო სასამართლოში ტრიალებს

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციასა და მხატვარ ემირ ბურჯანაძის შორის დავა ფედერაციის ლოგოს თაობაზე კვლავ გრძელდება.


ვალერი ჩოლარია

თავდაპირველად, ალბათ, გახსოვთ, მხატვარმა ლოგოს დამახინჯებისთვის ფეხბურთის ფედერაციას აგვისტოს ყრილობის წინ სასამართლოში უჩივლა და საკომპენსაციოდ 500 ათასი ლარი მოითხოვა. სარჩელს ფედერაციაში აღმასრულებელი პოლიციის სტუმრობა და ლოგოთი დამშვენებულ ფედერაციის ინვენტარზე ყადაღა მოჰყვა. მერე სფფ-მ სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა და საქმე საოლქო სასამართლოს გადაეცა, რომელმაც 500 ათასი ლარი 5 ათასამდე ჩამოიყვანა, ამ ვერდიქტს კი თავის მხრივ მხატვარი არ დაეთანხმა. საქმე უზენაეს სასამართლომდე მივიდა და გარჩევა გუშინ უნდა დაწყებულიყო, თუმცა მათ ფედერაცია—ბურჯანაძის შორის მტყუან-მართალის დადგენა კვლავაც საოლქო სასამართლოს გადაულოცეს.

ამასობაში კი ფედერაციის გენერალური მდივანი გადაჭრით ამბობს: „ფედერაცია მხატვრის სასარგებლოდ არც 5 ათას ლარს გადაიხდის. დღეიდან ვიწყებთ ყველა იმ ბლანკის განადგურებასაც, რომელზეც ლოგოა გამოსახული. არანაირი ლოგოიანი სპორტული ნაწარმი ფედერაციას არ გაუყიდია და არც ვაპირებთ. თუ სადმე მსგავს პროდუქციას იპოვიან, ამოიღონ და წაიღონ. ასეთი არ არსებობს. ბურჯანაძემ ლოგო დახატა და ისეთი შრიფტი, რომლითაც მან ისარგებლა, კომპიუტერში არ არის. მაისურებსა თუ „ლოტოს" სხვა პროდუქციაზე კი ლოგო სწორედაც რომ კომპიუტერითაა ამოქარგული".

ვალერი ჩოლარია კატეგორიულია, ჩვენ კი დავძენთ, რომ ფედერაციას ახალი ლოგოს რამდენიმე ვარიანტი უკვე დიდი ხანია შერჩეული აქვს და უახლოეს მომავალში, ალბათ, ბურჯანაძის ნამუშევარს ახლით შეცვლიან. საოლქო სასამართლოში საქმის ახალი გარჩევის თარიღი ჯერჯერობით უცნობია.

**ლუკა თალაკვაძე**

# ალმასკომის ხუთი მთავარი და ერთიც მოსალოდნელი მთავარი

**ფეხბურთის ფედერაციის** მიერ შეპირებული ალმასკომის სხდომა ნოემბერში მაინც ჩატარდება — ასეთია ქართული ფეხბურთის თავკაცების გადაწყვეტილება. მომავალმა ალმასკომმა სულ რაღაც ორი კვირით დაიგვიანა და ადრე გამოცხადებული 15 ნოემბრის ნაცვლად 29-ში შუადღისას დაიწყება.

რას უნდა ველოდეთ ალმასკომისგან? რამდენიმე საშტატო ცვლილება-გადაადგილებას, სფფ-ის მორიგი, მეექვსე ყრილობის თარიღის გამოცხადებას, ფედერაციის სამუშაო გეგმის დამტკიცებას, ფეხბურთელთა სტატუსისა და ტრანსფერის დროებითი დებულების მიღებასა და კლუბების ლიცენზირებისა და ექსპერტების კომისიის შექმნას.

ფედერაციას ოფიციალურად არ გამოუცხადებია, მაგრამ თუ მოარულ ხმებს ვერწმუნებით, ზემოთ ნახსენები ხუთი ძირითადი საკითხის გარდა ალმასკომი კიდევ რამდენიმეს განიხილავს. 29 ნოემბერს ახალგაზრდული ნაკრების თავკაცად, ალბათ, რევაზ არველაძეს დაამტკიცებენ, რომლის უახლოესი გეგმები 15 დეკემბერს უკავშირდება. ახალგაზრდულის ახალ მწვრთნელს თავისი შეგირდების და კლუბების ნაკრების ამხანაგურად გაჯიბრება გადაუწყვეტია.

არც ის იქნება გასაკვირი, ალმასკომში ახალი სახეები ვიხილოთ და ფედერაციასაც რამდენიმე შტატიანი თანამშრომელი გაეცალოს. მოკლედ, 29 ნოემბერი ქართულ ფეხბურთში კიდევ ერთი ცხელი დღე იქნება.

**მამუკა ძვანტალიანი**


რევაზ არველაძე ალმასკომის დისტურსლა ელის

FIFA Coca-Cola WORLD RANKING

# საქართველოს 81 ერგო

**საქმეს** ისეთი პირი უჩანს, „ფიფა—კოკა-კოლას" სარეიტინგო ცხრილში სანუგეშოს კარგა ხანს ვერაფერს ვნახავთ. საქართველო უკან-უკან იხევს, სანოემბრო მაჩვენებელი კატასტროფულია — შინდისფერი ლეგიონი რვა ათეულს მიღმაა.

საამიროები, კუვეიტი, მალი, ტოგო — გიორგობისთვეში ამათმაც მოიტოვეს ჩივაძის საშწყსო.

ოქტომბრის რეიტინგის მაჩვენებლით პოსტსაბჭოელთა შორის ბელარუსმა და ესტონეთმა საქართველო მეხუთეზე ჩაანაცვლა, ოქტომბერში ორივე მათგანმა გაზარდა სარეიტინგო ქულები. მათ ლატვიამაც აუბა მხარი და დერჟაველთაგან ძველებურად მესამეობას ვინ ჩივის, ვინძლო მალე მეექვსენი აღმოვჩნდეთ. უზბეკეთიც გვარიანად ყოჩაღობს. მოკლედ, საერთო ქართული სიტუაციის შესაბამისად, ფეხბურთშიც რეგრესია — სარეიტინგო ცხრილში ასე დაბლა საქართველო 5 წელია არ ყოფილა.

ცოტა რამ მოწინავე ოცეულზეც ვთქვათ. ოქტომბერში მეათე ადგილოსანმა აშშ-მ ადგილი გაუცვალა პოლანდიას. ორი საფეხურით წაიწია წინ კამერუნმა, სათავეში კი ძველებურად უკონკურენციოდ ბრაზილიაა წამოსკუპებული.

**ბაათა ძვანტალიანი**


ალექსანდრე ჩივაძე: ტოგომაც გაგვისწრო...

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | 1 | ბრაზილია | 857 |
| 2 | 2 | საფრანგეთი | 787 |
| 3 | 3 | ესპანეთი | 779 |
| 4 | 4 | გერმანია | 763 |
| 5 | 5 | არგენტინა | 741 |
| 6 | 6 | ინგლისი | 734 |
| 7 | 6 | მექსიკა | 731 |
| 8 | 8 | თურქეთი | 728 |
| 9 | 10 | აშშ | 720 |
| 10 | 9 | პოლანდია | 719 |
| 11 | 11 | იტალია | 710 |
| 12 | 11 | პორტუგალია | 709 |
| 13 | 13 | დანია | 705 |
| 14 | 14 | ირლანდია | 699 |
| 15 | 15 | ჩეხეთი | 694 |
| 16 | 15 | იუგოსლავია | 687 |
| 17 | 19 | კამერუნი | 685 |
| 18 | 17 | ბელგია | 682 |
| 19 | 18 | პარაგვაი | 681 |
| 20 | 20 | სამხრეთ კორეა | 671 |
| 24 | 23 | რუსეთი | 652 |
| 45 | 45 | შვეიცარია | 576 |
| 81 | 77 | საქართველო | 474 |
| 95 | 96 | ალბანეთი | 432 |

I გრაფა — ადგილი;
II — ადგილი წინა თვეში;
III — ქვეყანა;
IV — კოეფიციენტი

# იმედიანი იმედაძე ტორპედოს იმედია


გიორგი იმედაძე ბურთს და მოედანს „ტორპედოში" ეჩვევა

*დასასრული ყველაფერს აქვსო და, როგორც ჩანს, 22 წლის გიორგი იმედაძის უთამაშებლობასაც მოეღება ბოლო. ვლადიკავკაზის „ალანიას" ქართველი თავდამსხმელის ირგვლივ დატრიალებულ ამბებზე გუშინდელ „სარბიელშიც" გაუწყეთ.*

*ახლა იმედაძე მშობლიურ ქუთაისშია და მომავალსაც იმედის თვალით უყურებს. ერთ დროს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ფორვარდი, სავარაუდოდ, მალე ეროვნულ ჩემპიონატს ქუთაისის „ტორპედოს" მაისურით დაუბრუნდება*

ცხადია, ეს ჩემპიონობაზე დაგეშილი როინისპირელებისთვისაც არ უნდა იყოს ურიგო ვარიანტი. მით უმეტეს, ალექსანდრ შტელინის საშწყსოს ახლა თავდასხმაში პრობლემები აქვს — ზაზა ზირაქიშვილმა მენისკის ოპერაცია გაიკეთა, ზვიად ქუთათელაძე კი ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ ჯერაც არაა სასურველ ფორმაში. სათამაშო პრაქტიკით დიდად განებივრებული, ცხადია, არც გიორგი იმედაძეა, თუმცა...

გუშინ მას დავუკავშირდით და მცირე ინტერვიუ ვთხოვეთ

**— ვლადიკავკაზის „ალანია" თანახმაა, დროებითი ტრანსფერი მოგცეს. ალბათ, კმაყოფილი ხარ...**

— ეს ამბავი პირველად თქვენგან გავიგე. ნაღდად არ ვიცოდი, თუ „ალანიამ" ამაზე თანხმობა განაცხადა. რა ოქმა უნდა, უთამაშებლობას ეს აჯობებს.

**— ესე იგი, საქართველოს ჩემპიონატში დაბრუნდები...**

— უბრალოდ, სხვა გზა არ მაქვს. აქამდე მხოლოდ ინდივიდუალურად ვვარჯიშობდი, ახლა კი თამაშის საშუალებაც მომეცემა.

**— „ტორპედოში" უკვე ვარჯიშობ?**

— დიახ. უკვე ქუთაისში ვარ და „ტორპედოსთან" ერთად ვვარჯიშობ.

**— ალექსანდრ შტელინთან ხომ არ გისაუბრია?**

— შტელინს ველაპარაკე. მან იცის ჩემს გარშემო მომხდარი ამბები. მიხარია, რომ შანსი მომეცა. იმედი მაქვს, ფორმას მალე აღვიდგენ და „ტორპედოს" ჩემპიონობისთვის ბრძოლაში დავეხმარები.

**— როგორ ფიქრობ, რა ვადით გამოგიშვებს „ალანია"?**

— ნაღდად არ ვიცი. ალბათ, სამ ან ექვსთვიან ტრანსფერს მომცემს, ზუსტად ვერ გეტყვით. ეს მოლაპარაკებების დროს გადაწყდება.

**კახა შალამბერიძე**

# გიგიაძის რიგში არსენალიც ჩადგა

**სიმფეროპოლის „ტავრიას"** ქართველ ლიდერ ვასილ გიგიაძეს კიდევ ერთი მსურველი გამოუჩნდა. ახლო წარსულში მოსკოვის „სპარტაკის" მწვრთნელი, ახლა კი კიევის „არსენალში" შალვა აფხაზავას დამრიგებელი ვაჩესლავ გროზნი ჩვენებურით ერთობ მოხიბლულა და მხადაა „ტავრიას" ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებაც დაიწყოს.

— ვიაჩესლავ გროზნიმ თავად დამირეკა და მასთან შეხვედრა მთხოვა. მეც „არსენალს" იალტაში ვეწვიე. ამ გუნდს უკრაინის თასის მატჩი ელის მალე და საამისოდ სწორედ იქ ემზადება. გროზნიმ მითხრა, რომ ჩემი გადაბირების სურვილი აქვს. წინააღმდეგი არც მე ვარ. „არსენალი" უკრაინის დონეზე ურიგო გუნდი ნაღდად არაა. ახლა ყველაფერი მოლაპარაკებებზეა დამოკიდებული. გროზნის იმედი აქვს, რომ „ტავრიასთან" შეთანხმებას მიაღწევს — გვითხრა გუშინ ვასილ გიგიაძემ.

ამგვარად, გიგიაძეს კიდევ ერთი ვარიანტი გაუჩნდა, თუმცა არც ბუნდესლიგისა და მოსკოვის ცსკა-ს დაუხევიათ უკან. თავად ვასო კი „ტავრიას" ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებაზეა „ჩამოკიდებული".



— ვარიანტები ჯერაც უხვად მაქვს. თუმცა რომელს უფრო მეტი შანსი აქვს, ნაღდად არ ვიცი. კლუბის პრეზიდენტი მეუბნება, ყველა წინადადებას განვიხილავ და საუკეთესოსაც აგირჩევო. მეც სხვა რა გზა მაქვს. ვზივარ სახლში და ყოველ დღე ველოდები ახალ კლუბის ვინაობას — ესეც ვასილ გიგიაძის სიტყვებია.

**კახა შალამბერიძე**



ბადრი ქეთილაძის ფოტო

„ლოკომოტივი" — „ვიტ ჯორჯია". ამ გუნდური ჩხუბის მერე მხოლოდ სამი კაცი დაისაჯა

# ნანახი გვწამს, პატაკი გვაკვირვებს

ბოლო დროს ძალიან ლმობიერია ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტი. საფეხბურთო მოედანზე „ცოდვილთ" მოწყალე თვალით გადახედავენ-ხოლმე დისციპლინარები. არა, ხშირად წესისა და რიგის მიხედვითაც სჯიან, მაგრამ ზოგჯერ...

გუშინ დისციპლინარებმა წინა სხდომაზე დადებული პირობა პირნათლად აასრულეს და დამნაშავეებს დებულების მიხედვით კუთვნილი მიუზღეს, მაგრამ შეკრების დასასრულს უკმაყოფილების შეგრძნება მაინც დაგვრჩა.

16 ნოემბრის ცენტრალური მატჩი, „ლოკომოტივი" — „ვიტ ჯორჯია", ნახევარმა საფეხბურთო საქართველომ, ალბათ, ტელევიზორში იხილა. ორი ათასზე მეტმა ქომაგმა კი ვაკის სტადიონზე მისვლა არ დაიზარა. ბევრმა თავისი თვალით ნახა, იქ რა ამბებიც დატრიალდა და მოედანზე მხოლოდ ძიძგილაობა რომ არ ყოფილა, ესეც ფაქტია.

იმ მატჩის მსაჯ-დელეგატის პატაკი კი ინფორმაციულად საკმაოდ მწირი, მეტისმეტად ლაკონიური და თითქმის არაფრისმთქმელი აღმოჩნდა. საერთოდაც გაუგებარია, დისციპლინარებისთვის წარმოდგენილი ყველა პატაკი, რომელსაც ჩვენებური მსაჯები და მატჩის ინსპექტორები შეადგენენ, რატომ ჰგავს ერთმანეთს გაჭრილი ვაშლივით?

ბოლოს მაინც გაურკვეველი დაგვრჩა, 16 ნოემბერს ვაკეში ვინ წამოიწყო ჩხუბი, ვინ გააჩაღა მუშტი-კრივი და სამართლიანი გამოდგა თუ არა სასჯელი.

ვერდიქტი კი ვიტელ თენგიზ კობიაშვილს, რკინიგზელებს — ზაზა ლაცაბიძეს და მანუჩარ ივარდავას შეეხებოდა. თენგიზს და ზაზას ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია და ასლარიანი ჯარიმები არგუნეს, ხოლო მანუჩარი ოთხი თამაშით დაასვენეს და ზედ ორას ლარიანი ჯარიმაც დაურთეს. თუ ორივე კლუბის წარმომადგენლებს, ვიტელთაგან მალხაზ კაკაურიძეს და რკინიგზელთა მხრიდან ლევან ყიფიანს, ვერწმუნებით, ზემოთ ნახსენები ფეხბურთელები ფინანსურად კლუბსაც დაუსჯია. ასე რომ, კობიაშვილს, ლაცაბიძესა და ივარდავას ნოემბრის თვის ბიუჯეტში გვარიანი გარღვევა ექნებათ.

„ლოკომოტივის" გენერალურმა მენეჯერმა ლევან ყიფიანმა ერთი კი თქვა, ლაცაბიძე ამ ამბავში უბრალოა, დამნაშავე სულ სხვა ფეხბურთელი იყოო და მას ვიტელთა მცველი კობიაშვილიც დაეთანხმა, ლაცაბიძე აყალმაყალისას თვალითაც არ მინახავსო, მაგრამ დისციპლინარები მსაჯ-ინსპექტორის წერილობით ცნობას ენდნენ და გამოტანილ განაჩენს ბეჭედიც დაჰკრეს.

ისე, ცოდვა-გამხელილი სჯობსო, ნათქვამია და ერთ საყვედურს სადისციპლინო კომიტეტის წევრებსაც ვკადრებთ: იმის ნაცვლად, რომ 16 ნოემბრის ინციდენტს ჩაძიებოდნენ და მართლა დამნაშავეები ეპოვათ, დიდი დრო ეროვნულ ჩემპიონატში დონის მატებასა და არსებულ დაძაბულობაზე საუბარს მოანდომეს.

საშინელებისა და უმართავი პროცესისგან კი, ასე გამოდის, ყველა მანუჩარ ივარდავას დაუხსნია. რკინიგზელთა სათადარიგო მეკარის გიჟურმა მოქმედებამ მოჩხუბართა ყურადღება მიიპყრო, ივარდავას დაშოშმინების გარდა არავის არაფერი გახსენებიაო. „ლოკომოტივის" მართლაც ნიჭიერმა, მაგრამ ზომაზე მეტად ემოციურმა მეკარემაც სასჯელი შესაბამისი მიიღო — მისთვის ჩემპიონატის პირველი ეტაპი, ფაქტობრივად, დასრულდა.

თავისი წილი სამდურავი სიტყვები მსაჯებმაც დაიმსახურეს, მუშტი-კრივი მათ თვალწინ მოხდა და რა ვერ გაარკვიესო. მსაჯებისადმი გოგი დემეტრაძის „ტკბილი" დამოკიდებულების ამბავი ჩვენში ბევრმა უწყის. ჰოდა, ბატონმა გოგიმაც თავისებური განაჩენი გამოიტანა, ყველაფერი მათი ბრალი იქნებოდაო.

„დინამო" — „სიონის" მეჩვიდმეტე ტურის მატჩის დასასრულს ბოლნისელ ირემაშვილს მათ კარში გასული გოლი საეჭვოდ მოსჩვენებია და თანამსაჯ ცირდავასთვის სიტყვიერი შეურაცხყოფა მოუყენებია. მოედნიდან გაძევებულ ირემაშვილს ნამატჩევს ინსპექტორის თანდასწრებით ცირდავასთვის მოუბოდიშებია. საბოლოოდ ორთამაშიანი დისკვალიფიკაცია და ასი ლარი ჯარიმა ამყოფინეს.

ხაშურელ ბადრი ტყემალაძეს 3 მატჩის გამოტოვება და 150 ლარის გადახდა მსაჯის დედის მოხსენიებისთვის მოუწევს. ასეთივე სასჯელი ერგო „გურიას" რობერტ ცომაიას და ზუგდიდელ აკაკი ედიბერიძეს.

გურჯაანელი ჯაბა თოდუა და სტუდენტი გიორგი ბერიანიძე ერთი თამაშით დაასვენეს და 50 ლარით გაალარიბეს.

**გამუკა კვანტალიანი**



ბადრი ქეთილაძის ფოტო

სადისციპლინო კომიტეტი გუშინ ისევ ლმობიერი იყო

# ჯორჯია ჩემს გონებაში
## მარკ ჰიუზს ბაქოში თბილისური 5:0 მოაგონდა

ამ სათაურისაა ცნობილი რეი ჩარლზის პოპულარული სიმღერა და ზუსტად ეს სიტყვები წარმოთქვა გუშინ უელსის ნაკრების ქუდბედიანმა თავკაცმა მარკ ჰიუზმა. ჰიუზს გუშინ სიმღერა ფიქრადაც არ მოსვლია და ნათქვამში არც ამერიკული ატლანტის შტატის ქალაქი უგულისხმია, დიდი უელსელი საქართველოზე საუბრობდა აზერბაიჯანი — უელსის ევროშესარჩევი მატჩის წინ.

„კავკასიაში წამოსვლის წინ სულ საქართველოზე ვფიქრობდი. გუშინდელივით მახსოვს ამ ქვეყნის ნაკრებთან თამაში. კავკასიის პატარა ქვეყანაში თავდაჯერებულნი ჩავედით, სოლიდური შემადგენლობა გვყავდა და ჯოჯოხეთი მოგვიწყვეს. ქართველებმა ზღაპრულად ითამაშეს და 5:0 მოგვიგეს. ახლა აზერბაიჯანში ვართ და საქართველოზე ფიქრი თავს არ მანებებს. ჩვენი მეტოქე მაშინდელი საქართველოსავით ამოუცნობია. ვინ იცის, რას გვიმზადებს, ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ მათ."

მარკ ჰიუზს საქართველოს გახსენებამ გუშინ გამარჯვება მოუტანა, მისმა უელსმა მასპინძლებს 2:0 სძლია.

**ბაადა კვანტალიანი**





ბადრი ქეთილაძის ფოტო

მარკ ჰიუზს შოთა არველაძე და საქართველოს ნაკრები მწარედ ახსოვს

საქართველოს ჩემპიონატი პირველი ლიგა

მეცხრე ტური
გადადებული მატჩი

**ლოკომოტივი 2 0:0 ლოკო**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლაზიკა | 13 | 8 | 4 | 1 | 30:15 | 28 |
| მერცხალი | 13 | 8 | 4 | 1 | 20:6 | 28 |
| ცხინვალი | 13 | 7 | 4 | 2 | 22:11 | 25 |
| იველია | 13 | 7 | 3 | 3 | 19:14 | 24 |
| დინამო 2 | 13 | 6 | 2 | 5 | 17:13 | 20 |
| სამგურალი | 13 | 5 | 5 | 3 | 16:12 | 20 |
| ჭაბუკთა ნაკრები | 13 | 5 | 3 | 5 | 19:14 | 18 |
| მცხეთა | 12 | 4 | 5 | 3 | 16:11 | 17 |
| ქობულეთი | 13 | 5 | 1 | 7 | 8:15 | 16 |
| თსუ | 13 | 4 | 4 | 5 | 9:11 | 16 |
| გურია | 13 | 4 | 3 | 6 | 11:16 | 15 |
| ლოკო | 13 | 4 | 3 | 6 | 10:16 | 15 |
| ლოკომოტივი 2 | 12 | 3 | 6 | 3 | 10:8 | 15 |
| სამტრედია | 13 | 3 | 2 | 8 | 10:19 | 11 |
| ხობი | 13 | 2 | 3 | 8 | 8:19 | 9 |
| ალაზანი | 13 | 0 | 4 | 9 | 9:34 | 4 |

საქართველოს ჩემპიონატი მეორე ლიგა პირველი წრე

**აღმოსავლეთი**

მეთერთმეტე ტური
20 ნოემბერი

გორდა 2 — კახეთი 0:1; ზოოვეტი — მაუდი 1:0; პოლიციის აკადემია — ნორჩი დინამოელი 4:6; დინამო 3 — სიონი 2 3:1; დინამო 2 (სოხ.) — შავნაბადა 4:0; ერთობა — სამგორი 1:3; კრწანისი — პერეთი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო 3 | 11 | 9 | 1 | 1 | 30:7 | 28 |
| ზოოვეტი | 11 | 9 | 1 | 1 | 31:9 | 28 |
| დინამოელი | 11 | 8 | 2 | 1 | 30:9 | 26 |
| ჰერეთი | 10 | 7 | 1 | 2 | 22:7 | 22 |
| მაუდი | 11 | 7 | 0 | 4 | 26:14 | 21 |
| სიონი 2 | 11 | 5 | 4 | 2 | 21:12 | 19 |
| კრწანისი | 10 | 4 | 2 | 4 | 16:15 | 14 |
| კახეთი | 11 | 4 | 1 | 6 | 11:17 | 13 |
| გორდა 2 | 11 | 3 | 2 | 6 | 11:17 | 11 |
| სამგორი | 11 | 3 | 1 | 8 | 10:24 | 10 |
| დინამო 2 (სოხ.) | 11 | 2 | 2 | 7 | 13:28 | 8 |
| შავნაბადა | 11 | 1 | 5 | 5 | 7:18 | 8 |
| პოლ. აკადემია | 11 | 2 | 1 | 8 | 14:26 | 7 |
| ერთობა | 11 | 0 | 1 | 10 | 5:44 | 1 |

**ცენტრალური**

მეთორმეტე ტური
19 ნოემბერი

მესხეთი — ცხინვალი 2 5:0; ყაზბეგი — ვაკე 91 0:0; ცხუმი — მცხეთა 2 5:1; ვიტ ჯორჯია 2 — პრემა 2:0; ვარძია — ლიახვი 1:4; ოლიმპი — ფეხბურთის აკადემია 3:2; თორი — დილა 2 5:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია 2 | 12 | 11 | 1 | 0 | 27:5 | 34 |
| მესხეთი | 12 | 9 | 2 | 1 | 34:8 | 29 |
| თორი | 12 | 7 | 2 | 3 | 33:13 | 23 |
| ვაკე 91 | 12 | 7 | 2 | 3 | 27:9 | 23 |
| მცხეთა 2 | 12 | 6 | 3 | 3 | 17:17 | 21 |
| ოლიმპი | 12 | 5 | 1 | 6 | 15:20 | 16 |
| ცხუმი | 12 | 4 | 4 | 4 | 17:11 | 16 |
| ცხინვალი 2 | 12 | 5 | 0 | 7 | 17:25 | 15 |
| ყაზბეგი | 12 | 3 | 6 | 3 | 14:11 | 15 |
| პრემა | 12 | 4 | 2 | 6 | 13:18 | 14 |
| ფეხბ. აკადემია | 12 | 3 | 3 | 6 | 15:22 | 12 |
| ლიახვი | 12 | 3 | 2 | 7 | 15:29 | 11 |
| ვარძია | 12 | 2 | 2 | 8 | 10:32 | 8 |
| დილა 2 | 12 | 0 | 0 | 12 | 8:42 | 0 |

**დასავლეთი**

მეცამეტე ტური
18 ნოემბერი
ბათუმი 2 — შევარდენი 0:1
19 ნოემბერი
სსუ — მალაროელი 2:0; დინამო (სოხ.) — მეშახტე 0:3; ოდიში 2002 — რაჭა 1:4; ინტერი — ჩიხურა 1:2; სულორი — დინამო (ზუგ.) 2:2; სქური — ლუკა 3:1; სალხინო — კოლხეთი 2 3:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩიხურა | 12 | 11 | 0 | 1 | 30:8 | 33 |
| სქური | 13 | 10 | 1 | 2 | 23:14 | 31 |
| მეშახტე | 13 | 9 | 1 | 3 | 22:12 | 28 |
| ლუკა | 13 | 9 | 0 | 4 | 22:20 | 27 |
| რაჭა | 13 | 7 | 1 | 5 | 30:18 | 22 |
| მალაროელი | 13 | 6 | 4 | 3 | 24:17 | 22 |
| ინტერი | 12 | 6 | 2 | 4 | 25:16 | 20 |
| ოდიში 2002 | 13 | 5 | 4 | 4 | 22:24 | 19 |
| შევარდენი | 14 | 4 | 2 | 8 | 14:24 | 14 |
| სულორი | 13 | 3 | 5 | 5 | 18:17 | 14 |
| ბათუმი 2 | 13 | 4 | 1 | 8 | 15:19 | 13 |
| სსუ | 13 | 3 | 4 | 6 | 13:17 | 13 |
| დინამო (ზუგ.) | 13 | 3 | 2 | 8 | 16:30 | 11 |
| კოლხეთი 2 | 13 | 2 | 4 | 7 | 14:19 | 10 |
| სალხინო | 12 | 2 | 3 | 7 | 14:27 | 9 |
| დინამო (სოხ.) | 13 | 1 | 2 | 10 | 10:30 | 5 |

ბადრი ქეთილაძის ფოტო

# ამხანაგური მატჩები



მარიო ზაგალომ ფეხბურთელ-მწვრთნელობისას მეასე სანაკრებო მატჩი მოიგო

# ცივი გამარჯვება

## ზაგალომ დანაქადნი ძლივს აასრულა

**სამხრეთ კორეა 2:3 ბრაზილია**

1:0 სეოლი (7), 1:1 რონალდო (16), 2:1 ანი (58), 2:2 რონალდო (67), 2:3 რონალდინიო (90წ)

სამხრეთ კორეა: ჯ. ლი (ბ. კიმი 85), მ. ჰონგი (დაე კიმი 72), ტ. კიმი, ჯ. ჩოი, ჩ. სონგი (ტ. ჩოი 52), იოო, ნ. კიმი, ი. ლი (ჰიუნი 86), ჩ. ლი (დო კიმი 80), ანი (ი. ჩოი 59; ჰვანგი 88), სეოლი (ჩა 74)

ბრაზილია: დიდა, კაფუ (ბელეტი 84), ლუსიო, ედმილსონი, რობერტო კარლოსი, ჟილბერტო სილვა, კლებერსონი, ზე რობერტო, რონალდინიო, რონალდო, ამოროზო

მსაჯი: ლუ ოუნი (ჩინეთი)

63 000 მაყურებელი

**პენტაკამპეონებმა** მსოფლიოს ჩემპიონატის მერე მეორე შეხვედრა გამართეს და გაიმარჯვეს. როგორც გახსოვთ, მუნდიალის შემდგომ პირველივე მატჩში ბრაზილიელებმა შინ პარაგვაისთან მარცხი იწვნიეს და ახლა უნდა დაემტკიცებინათ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის მერე არ დაბეჩავებულან. მეტოქეც ხელწამოსაკრავი არ ჰყავდათ. მსოფლიოს ჩემპინატის თანამასპინძელი და მეოთხედფინალისტ სამხრეთ კორეასაც ჰქონდა სათქმელი.

გუნდებმა თამაში მწვავე შეტევებით დაიწყეს და მე-7 წუთზევე სეოლმა სტუმართა საჯარიმოში დანიშნული თავისუფალ დარტყმას თავი შეაგება და ანგარიშიც გახსნა.

მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის წოდებისთვის მესამედ მებრძოლმა რონალდომ, ემანდ ჩემს სახელს ჩრდილი არ მივაყენოო, ცხრა წუთში გაქვითა. მასე არ უნდაო და, მუნდიალზე იტალიელთა იმედების დამსამარებელმა ანმა 58-ეზე მსოფლიოს ჩემპიონები ამ მატჩში მეორედ და უკანასკნელად დაამწუხრა.

კვლავ გაიბრწყინა რონალდომ და ანგარიში ისევ გაათანაბრა.

მატჩის დასრულებას თითქმის ალარაფერი უკლდა, როდესაც ამოროზო მასპინძლებმა საკუთარ საჯარიმოში დასცეს და პენალტს გამოჩნენ. პენალტი რონალდინიომ ზუსტად შეასრულა და პენტაკამპეონთა ერთჯერად მწვრთნელ მარიო ზაგალოს მატჩამდელი დანაქადნი, პარაგვაისთან ნაწვნევ სირცხვილს კორეელებთან ჩამოვირეცხავთო, რეალობად იქცა.

მატჩის შემდეგ რონალდო თავისი და ნაკრების თამაშითაც კმაყოფილი იყო, ხოლო უმცროსმა რონალდომ, ანუ უბრალოდ რონალდინიომ ყველა გუნდი, რომელსაც სამხრეთ კორეის მეტოქეობა მოუწევს, გააფრთხილა, რომ აზიელთა დასამარცხებლად მთელი ოსტატობის გამოვლენა დასჭირდებათ. ორივე რონალდომ ისიც აღნიშნა, მატჩს დროს საკმაოდ ციოდა და ამან სამხრეთამერიკელებს ერთობ გაგვირთულა თამაშიო.

კორეელთა უბერებელ კაპიტან მიუნგბო ჰონგისთვის და სან-ჰონგ ჰეიონისთვის ეს მატჩი გედის სიმღერა იყო. მათ ბოლო შეხვედრა ჩაატარეს ნაკრებში.

„მიხარია, რომ სანაკრებო კარიერა კაპიტნის სამკლავურით დავასრულე და თან ბოლო მატჩი მოქმედ მსოფლიოს ჩემპიონთან გავმართე. ნაკრებში ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელია და თუ ისინი ვარჯიშს ისეთივე შემართებით გააგრძელებენ, როგორც ახლა, სამხრეთ კორეა 2006 წლის მუნდიალზეც არ შერცხვება" — ეს სიტყვები, როგორც მიხვდით, კაპიტან მიუნგ-ჰონგს ეკუთვნის, რომელიც ნაკრებში 1990 წლიდან თამაშობს.

სამხრეთკორეელები და ბრაზილიელები აქამდე მხოლოდ სამჯერ შეხვედრიან ერთმანეთს. პირველი ორი მატჩი მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონებმა მოიგეს, 1999 წელს კი კორეელებმა ბრაზილიელები მოულოდნელად 1:0 დაამარცხეს.

**ზურაბ რუხაძე**



რონალდომ და რონალდინიომ ბრაზილიის ნამუნდიალევს პირველი გამარჯვება მოუტანეს

# ბიელსამ ოზლის კვერი შეჭამა

**იაპონია 0:2 არგენტინა**

0:1 სორინი (47), 0:2 კრესპო (49)

იაპონია: ნარაზაკი, აკიტა, ნარაჰაში (იამადა 62), ნაკანიში, მაწსუდა, ფუკუნიში, კ. ნაკატა, ოგასავარა (ენდო 67), ნაკამურა (ალექსი 59), ტაკაჰარა, სუზუკი (ნაკაიამა 54)

არგენტინა: კავალიერო, კოროგა (პოჩეტინო 89), აიალა, სამუელი, ძანეტი, ალმეიდა, ვერონი, სორინი, ორტეგა (სავიოლა 73), კრესპო (სოლარი 82), კ. ლოპესი (კილი გონსალესი 65)

მსაჯი: სააჲ კამელ მანე (ქუვეითი)

40 931 მაყურებელი

**მსოფლიოს ჩემპიონატის** დამთავრებიდან თითქმის ხუთი თვე გავიდა. ამ ხნის განმავლობაში არგენტინის ნაკრებს ერთი ამხანაგური მატჩიც არ უთამაშია. ნაკრების სათავეში ისევ მარსელო ბიელსაა, რომელსაც ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია კვლავ ენდო და მისი შეცვლა არ ინდომა.

არგენტინელები ამხანაგურად სათამაშოდ საიტამას ეწვივნენ, სადაც იაპონიას გაეჯიბრნენ. მასპინძლებს მწვრთნელი, ზიკო არ ჰყავდათ, ვისაც დედა გარდაეცვალა და ბრაზილიაში მოუხდა წასვლა. მასპინძლებს მთავარი ფეხბურთელიც, პარმელი ჰიდეტოში ნაკატაც აკლდათ.

უმთავარკაცებო იაპონია პირველ ტაიმში თანაბრად ეჯაჯგურა სამხრეთამერიკელებს, მაგრამ მეორე ტაიმის დასაწყისში, ორწუთიან მონაკვეთში, ორჯერ გაუშვა და დამარცხდა.

მასპინძელ ნაოპირო ტაკაჰარას ორიოდე საგოლე მომენტი კი ჰქონდა, მაგრამ ვერ იხეირა.

შესვენების შემდეგ არგენტინელებმა სერიოზულად მოჰკიდეს საქმეს ხელი. „ფენერბაჩეს" ჯილამ არიელ ორტეგამ ხუან პაბლო სორინის ჩააწოდა და მანაც ზუსტად დაარტყა. ორიოდ წუთში ხუან სებასტიან ვერონმა ერნან კრესპო დაასაჩუქრა და ინტერელმა უზადო თავური დაჰკრა.

მიუხედავად ამ გამარჯვებისა, არგენტინელი გულშემატკივრები ბიელსასგან მთავარს, კოპა ამერიკას მოგებას და ხარისხიან თამაშს ითხოვენ.

**სერგი ძორიძე**



ხავიერ სავიოლას იერიშების ჩოშლა ეისუკე ნაკანიშის დაევალა



ერნან კრესპომ მასპინძლებს პირველი გოლის მერე გონს მოსვლა არ აცალა

## ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი

### შესარჩევი ტურნირი

**მესამე ტური. 19 ნოემბერი**

**I ჯგუფი**

**კვიპროსი 2:0 მალტა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 5:0 | 9 |
| კვიპროსი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| ისრაელი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| სლოვენია | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| მალტა | 4 | 0 | 0 | 4 | 0:7 | 0 |

**IV ჯგუფი**

**სან მარინო 0:2 ლატვია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 8:1 | 6 |
| შვედეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| უნგრეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 3 |
| ლატვია | 3 | 1 | 0 | 2 | 2:7 | 3 |
| სან მარინო | 3 | 0 | 0 | 3 | 2:11 | 0 |

**IX ჯგუფი**

**აზერბაიჯანი 0:1 უელსი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 3 | 3 | 0 | 0 | 9:2 | 9 |
| ფინეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 8:4 | 7 |
| უელსი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| იუგოსლავია | 2 | 0 | 1 | 1 | 4:7 | 1 |
| აზერბაიჯანი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:7 | 0 |

## ამხანაგური მატჩები

**სამხრეთ აფრიკა 1:1 სენეგალი**

1:0 ბარტლეტი (66), 1:1 ნიანგი (68)

სამხრეთ აფრიკა: არენდსე, ლეკგვატი, მოკოენა, მაბიზელა, მბანია, სიბაია (ვილაკაზი 76), მაზიბუკო, ზუმა, ბაკლი (მახელეხელე 86), ბარტლეტი (ზვანე 84), მაიო (მანიატელა 57)

სენეგალი: ტ. სილვა, ბეიე, ა. სისე, ლ. დიატა, პ.მ. დიოპი, ხ. დიავარა, ს. ნდიაიე (მ. სარი 53), მუსა ნდიაიე, ფადიგა (დიაბანგი 83), ს. კამარა (მახტარ ნდიაიე 64), ნიანგი

მსაჯი: ფილიპ ტანგავარიმა (ზიმბაბვე)

15 000 მაყურებელი

**აფრიკის თასის** გათამაშების შემდეგ სამხრეთ აფრიკა სენეგალს პირველად შეხვდა და მხოლოდ 1:1-ს გამორჩა. საერთო ჯამში იოჰანესბურგის „ელის პარკზე" გამართულ ამხანაგურში თამაში თანაბარი იყო და ყველაზე საინტერესო ამბები მეორე ტაიმის შუაწელში მოხდა.

ჯერ იყო და სამხრეთაფრიკელმა შონ ბარტლეტმა გაიტანა თავისი 25-ე სანაკრებო გოლი სიბუსისუ ზუმას აქტიურობის შედეგად, კიდევ ორ წუთში კი სენეგალელთა რიგებში სულ მეორედ გამოჩენილმა „ტრუას" ფორვარდმა მამადუ ნიანგმა სამხრეთაფრიკელ მცველ აარონ მოკოენას გადაუგდო ბურთი თავზე და 25 მეტრიდან შეაგდო.

სენეგალს რეალური მომენტები პირველ ტაიმშიც შეექმნა. ელ-ჰაჯი დიუფის, სალიფ დიაოსა და დიუს გარეშე მოთამაშე სტუმრებიდან კაპიტან ალიუ სისესა და მუსა ნდიაიეს შეეძლოთ თავისიანთა დაწინაურება. გოლების გაცვლის შემდეგ კი გამარჯვებასთან უფრო ახლოს სამხრეთაფრიკელები იყვნენ. ბოლო ხუთ წუთში მანიატელამ და ბენედიქტ ვილაკაზმა ვერ მოახერხეს ქომაგთა გახარება.

**ახალგაზრდულები**

პორტუგალია 2:0 საბერძნეთი

იტალია 0:3 თურქეთი

ჩეხეთი 1:1 შვედეთი

საქართველოში პირველი სპეციალიზებული სალონი-მაღაზია

ბილიარდის სახლი

რუსული პირამიდა, პული, სნუკერი

აქსესუარები Zeus ზევსი

- კია 47GEL
- ბურთები 178GEL
- მაუდი 112GEL
- მაგიდის განათება 181GEL
- კიის თარო 24GEL
- თარიღი ბურთებისთვის 47GEL
- ბუდეები კიისთვის 19GEL
- ცარცი, რეზინი 1.3GEL

900 GEL-დან

მასტერი Master

დახმარება საბილიარდოს გახსნისას, კონსულტაცია, გარანტია, მასდაკლება

ტ: 95-57-75; ტ/ფაქსი: 95-88-46

თბილისი, უზნაძის ქ. 2 (ყოფ. კამოს)

11.00-19.30 სთ-მდე კვირის გარდა



კალიარელმა დამრტყმელმა „მესინას" მეკარე დაანოკაუტა

# ისიამოვნეთ ინტრიგანულად

## იტალიურ სერიებს ჯოჯოები და მაჯლაჯუნები ჭამენ

**იტალიურ** ფეხბურთში ახალი ალიაქოთია: გასულ უქმეებზე სერია A-სა და სერია B-ს ზოგიერთი შეხვედრა ხულიგნობის აკომპანიმენტით ჩატარდა, რის შესახებაც, მოგვიანებით, მიმომხილველებმა ის აზრი გამოთქვეს, რომ ყველაფერი საკამათო საკითხების ჯერ ერთმანეთზე, ხოლო შემდეგ მსაჯებზე გადაბრალების ჩვეულებიდან მოდის.

ქვეყნის ფეხბურთელთა ასოციაციის პრეზიდენტმა, სერჯო კამპანამ გამაოგნებელი რამ შესთავაზა საზოგადოებას:

„თუ ყველაფერი ფეხბურთის ბრალია, იქნებ აზრი ჰქონდეს თამაშების სულ მცირე ექვსი თვით შეწყვეტას, რათა გავიაზროთ რა ხდება, რა ღონე უნდა ვიხმაროთ და შემდეგ განვაგრძოთ შეჯიბრებები."

გასული უქმეების ყველაზე საგანგაშო ამბავი სერია B-ს შეხვედრაში მოხდა, სადაც ერთმანეთს „კალიარი" და „მესინა" ეთამაშებოდნენ. მავანმა გიჟმაჟმა ქომაგმა „მესინას" გოლკიპერი, ემანუელ მანიტა ნოკაუტში ჩააგდო, რის გამოც, ბუნებრივია, მატჩი შეწყდა. აბა, ვისღა ეფეხბურთებოდა.

„ეს მხოლოდ ერთი ეპიზოდია, არადა, ბოლო დროს უამრავი ინციდენტი მოხდა — განაგრძო კამპანამ — მათი უმეტესობა ქვედა ლიგებში ვიხილეთ, თუმცა არც პროფესიულ ლიგებში გვაქვს საქმე კარგად. ნათლად გამოჩნდა, რომ კლუბები თავიანთ სტადიონებზე უსაფრთხოების საკითხებს ვერ აგვარებენ და ფეხბურთელებს მუდმივად ხიფათი ემუქრებათ."

ახლა უმაღლესი დივიზიონის, სერია A-ს ამბავი გავიხსენოთ: „რომასა" და „ინტერის" შეხვედრაში მოთამაშეებმა ერთმანეთს იმდენი აგინეს, რომ კინაღამ მუშტი-კრივზე გადავიდნენ. ადრეც ვწერდით, რომ ეს მნიშვნელოვანი მატჩი, რომელიც 2:2 დასრულდა ფრიად უსიამოვნო ინციდენტებით იყო დახუნძლული. თამაში რომ დამთავრდა, „რომას" მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ ფრე მსაჯს დააბრალა, ამტკიცებდა, ის რომ არა, მოვიგებდითო. შემდეგ, იტალიური ფეხბურთის ეს ბრაზიანი დიდოსტატი უფრო შორს წავიდა და განაცხადა, თუ ჩემს წინააღმდეგ მოწყობილ ხრიკებს კიდევ შევნიშნავ, წავალ, სხვა პროფესიას ვეზიარებიო.



ფაბიო კაპელოს შეთქმულება ელანდება

ეს ამბავი შაბათს მოხდა, ხოლო მეორე დღეს, კვირას, როდესაც „კომომ" „ლაციოს" გოლი გაუტანა, მაგრამ მსაჯმა არ ჩათვალა, აყალმაყალმაც არ დააყოვნა, რას ჰქვია გოლი არ ჩაითვალაო.

პოლიციელები და ქომაგები შეიბნენ ტურინშიც, სადაც საქალაქო დერბი იყო „იუვენტუსსა" და „ტორინოს" შორის.

სხვათა შორის, რომსა და კომოში მომხდარ ამბებს საფუძველი წინა კვირაში ამ ორი კლუბის პრეზიდენტებმა ჩაუყარეს. როგორც ბატონი ფრანკო სენსი, ისევე ბატონი ენრიკო პრეციოზი, მავან ჯოჯოებსა და მაჯლაჯუნებს მათი გუნდების წინააღმდეგ შეთქმულებაში სდებდნენ ბრალს.

ჟურნალისტი სანდრო პიკინინის აზრით, სენსისა და პრეციოზის განცხადებებმა საათზე გასწორებული ყუმბარის ეფექტით, ზუსტად დანიშნულ დროს იმოქმედეს.

„ყუმბარები ზუსტად აფეთქდა. ჩვენ, მთელი ზაფხული ბაირონ მორენოზე წერასა და საკუთარი ალიბის შექმნაში გავატარეთ, მაგრამ თავად უარესზე ფიქრს მივჩვეულვართ და აი, შედეგიც."

შეგახსენებთ, ბაირონ მორენო ის ეკვადორელი არბიტრი გახლავთ, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატზე იტალიისა და კორეის შეხვედრაში მასპინძლებს გაულიმა.

საინტერესო აზრი გაუჩნდა ერთ-ერთ რადიოკომენტატორს. მოდი, ავიღოთ რომელიმე შეხვედრა — სულერთია რომელი — და სატელევიზიო გამეორებების, კადრის შენელებისა და დალეჭვის გარეშე ვუცქიროთ. ვნახავთ ერთი, თავად როგორ შევაფასებთ ამა თუ იმ ეპიზოდსო.

თუმცა, ეჭვი გვეპარება ვინმემ ამ აზრს ყური დაუგდოს - ვინ გიჟი მოიკლებს კადრის ნელი გამეორებით მიღებულ ესთეტიკურ და ინტრიგანულ სიამოვნებას. რაც შეეხება სინიორ კაპელოს, იგი რომში, სადისციპლინო კომიტეტშია დაბარებული.

**ბაჩუნა ძიძია**

***P.S.** „კალიარი", რომლის ქომაგმაც „მესინას" მეკარე დაანოკაუტა, საშინაო შეხვედრებს შინ ველარ ჩაატარებს, ოღონდ რამდენი ხნით, სანამ გამოძიება არ დამთავრდება, ვერ მოგახსენებთ.*

# მილანი VS ინტერი

## ეპიზოდი პირველი: მილანი

*შაბათს მილანის ჯუზეპე მეაცას სახელობის სტადიონი, იგივე „სან სირო", გადაივსება. მთელი იტალია დიდი დერბის მოლოდინშია. „მილანი" და „ინტერი" თბილისის დროით ღამის 12-ის ნახევარზე სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებმებიან ერთმანეთს. „როსონერი" (შავ-წითლები) და „ნეროაძური" (შავ-ლურჯები) გამალებით ემზადებიან. „მილანს" მოსისხლე მტრის დამხობა სურს, „ინტერსაც" იგივე, ამავე დროს ორივე ერთად „იუვენტუსის" ფეხის დაცდენას ელის, რათა მოგებით სერია A-ს ცხრილს სათავეში წამოაჯდეს. ერთი სიტყვით, მატჩია, იცოცხლეთ! და რა ხდება ამ დროს მეტოქეთა ბანაკებში? დღეს „მილანზე" თქვათ, „ინტერზე" კი ხვალინდელ „სარბიელში" გიამბობთ*

### ვაი, ნესტა?

გაიფიქრეს „მილანის" ტიფოზებმა და საგონებელშიც ჩავარდნენ. დიახ, გადაწყვეტილია, „პარმასთან" მე-20 წუთზე დაშავებული ცენტრალური მცველი ალესანდრო ნესტა დერბის გამოტოვებს.

ნესტას კვირასვე, პარმელებთან მატჩის დამთავრებისთანავე ჩაუტარეს სამედიცინო გამოკვლევა. ექიმები კონკრეტულ პასუხს ვერ იძლეოდნენ, ჯერ რენტგენს გადავუღებთო. თუმცა თავიდანვე ცხადი იყო, ნესტას ფეხი ოპერაციას არ საჭიროებდა.

ჟან-პიერ მირსიმანი, „მილანის" სამედიცინო ლაბორატორიული ცენტრის ხელმძღვანელი: „თამაშზე ლაპარაკი ზედმეტია. ალესანდრო ნესტა აღდგენით პროცესს სწორედ შაბათს დაასრულებს. მას კვირის მერე არც უვარჯიშია. რაც შეეხება მადრიდის „რეალთან" მატჩს, გპირდებით, ნესტა სრულ მზადყოფნაში იქნება."

### ანჩელოტის ფიქრები

„ინტერს" ტაქტიკურად მოვუგებო, თავი გამოუდვია კარლო ანჩელოტის. ბევრი იფიქრა თუ ცოტა, კარლიტომ მისთვის უჩვეულო გადაწყვეტილება მიიღო, ხოლო თუ რატომ უჩვეულო, თავად განსაჯეთ:

„ვითარება მაიძულებს. წლეულს „მილანი" შემტევ ფეხბურთს თამაშობს და არა დაცვაზე ორიენტირებულს. ფეხბურთელთა უმეტესობაც შემტევი სტილისანი მყავს" — უთხრა ანჩელოტიმ „გაძეტა დელო სპორტის" ჟურნალისტს და გადაწყვიტა, „ინტერს" სამი თავდამსხმელით შეუტიოს, ანუ ეს იმას ნიშნავს, რომ სასტარტოში იქნებიან ინძაგი, რივალდო და ანდრეი შევჩენკო. უკრაინელს, რაც სათამაშო ფორმა აღიდგინა, ბოლო მატჩებში მაინც სათადარიგოთა სკამზე გამწესებულს ვხედავთ, ახლა კი შანსი ეძლევა, კიდევ ერთხელ დაამტკიცოს, რომ „შევა" ძირითადის კაცია.

ანჩელოტის საყვარელი ტაქტიკა 4-3-1-2-ია. ოთხი მცველი ხაზზე, ორი ფლანგელი ჰავბეკი და ერთიც საყრდენი ნახევარმცველი. გამთამაშებლის ფუნქციას კი პორტუგალიელი პლეიმეიკერი მანუელ რუი კოშტა ასრულებს.

„ინტერთან" სხვაგვარად იქნება. ბრაზილიელი რივალდო უკან დახეულ თავდამსხმელად გამწესდება, შევჩენკოინძაგისთვის ბურთის მიტანა შუიდან სწორედ რუი კოშტა-რივალდოს დაევალებათო, ამბობს ანჩელოტი.

### რედონდო მილანელოში

გუშინწინ „მილანის" საწვრთნელი ბაზის კარი არგენტინელმა ფერნანდო რედონდომ შეაღო. ბელგიური ანტვერპენის სამედიცინო კლინიკის პროფესორმა მარტენსმა რედონდო სიხარულით გააცილა, მორჩა, საბოლოოდ განიკურნე, არაფერი გჭირს და აბა, შენ იციო.

არგენტინელმა გუშინწინვე ტესტი გაიარა „მილანის" ფიზმომზადების მწვრთნელ დანიელე ტონიაჩინის მეთვალყურეობით, საღამოს კი პრესკონფერენცია გამართა: „ბედნიერი ვარ, ბოლოს და ბოლოს, ჩემს საყვარელ საქმეს ვუბრუნდები. აჩქარება არ ვგების. ჯერ ინდივიდუალურად მოვემზადები, ერთ კვირაში კი გუნდთან ერთად ვივარჯიშებ. ერთსაც გეტყვით, ძალიან მინდა, ჩემი დაბრუნება და მილანური დებიუტი „სან სიროზე" შედგეს, აქაური გადავსებული ტრიბუნები და ატმოსფერო ენით აუწერელია."

### მილანს მეკარე რად უნდა

თქვა კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ — არც არავის ვყიდულობთ და არც არავის ვყიდით. ოლივერ კანი და სებასტიან ფრეი ჩინებული მეკარეები არიან, მაგრამ „მილანს" კარის დარაჯის პრობლემა არ აწუხებს. ბრაზილიელი დიდა და კრისტიან აბიატი საიმედო და ბრწყინვალე გოლკიპერები არიანო.

### დონ ჩეზარემ დაიბარა

როცა „ინტერის" დამარცხებაზე საუბრობენ, „მილანის" ტიფოზები აუცილებლად ჩეზარე მალდინის, პაოლო მალდინის მამას ახსენებენ. სწორედ მალდინი-უფროსმა აჩუქა ქომაგებს ორი წლის წინ დიდი გამარჯვება, როცა მისმა გაწვრთნილმა „შავ-წითლებმა" მოსისხლე ინტერელები ალგავეს პირისაგან მიწისა.

„ინტერნაციონალეს" 6:0 დამმარცხებელმა ჩეზარე მალდინიმ ორი დღის წინ ბაზაზე მოინახულა ყმაწვილი ნორვეგიელი ფეხბურთელი იან გუნარ სოლი. „ლილესტრიომის" აღზრდილი ვიკინგი თურმე ერთობ პერსპექტიული ბიჭი ყოფილა, მილანელოში თავის აგენტს გასასინჯად მიუყვანია და დავალებებსაც მუყაითად ასრულებს. ჩეზარემ ნორვეგიელი საქმეში ნახა და ორიოდ სიტყვა მომავალ დერბიზეც თქვა: „იმედი მაქვს, მოვიგებთ. „მილანს" სავსებით ხელეწიფება „ინტერის" დამარცხება."

**გიორგი მუზაძიძე**



ალესანდრო ნესტა პირველ მილანურ დერბის დააკლდება



# მათეუსის პაკეტი

## ბაიერნის წითელს დიდმა კაპიტანმა სიგელით, ორდენით და ოქროს საათით უპასუხა

*მიუნხენის „ბაიერნის" ბაზაზე, კლუბის მენეჯერ ული ჰიონესის სახელზე, გუშინ ფოსტის თანამშრომლებმა უცნაური პაკეტი მიიტანეს. პაკეტის უცნაურობა არა მის ფორმაში, არამედ მის შიგთავსში იმალებოდა. ჩვეულებრივ, არცთუ დიდი ზომის ოთხკუთხედ ყუთში ოქროს საათი, ღირსების ორდენი და „ბაიერნის" საპატიო წევრობის სიგელი იდო. პაკეტს კი ზემოდან ეწერა: ული ჰიონესს ლოთარ მათეუსისგან. ახლო წარსულში სახელოვანი ფეხბურთელის ეს საქციელი ჰიონესის მიერ გერმანულ სპორტულ ტელეკომპანია DSF-ის პირდაპირ ეთერში ნათქვამმა სიტყვებმა გამოიწვია. სიტყვებმა, რომელიც მათეუსის კომენტარის კომენტარი გახლდათ.*



**განო ოქრობირიძე**

**ბერლინიდან**

**ყველაფერი** კი მიუნხენური კლუბის კრახით დაიწყო. ბავარიელთა მიერ ჩემპიონთა ლიგის პირველ ჯგუფურ ეტაპზე ზედიზედ განცდილი მარცხის კომენტარი გერმანიაში ვის აღარ სთხოვეს. უმუშევრებით დაწყებული და კანცლერ შრიოდერით დამთავრებული, ლამის კაცი არ დარჩენილა, თავისი აზრი რომ არ გამოეთქვა. ჰოდა, რა გასაკვირია, ტელეკომპანია PREMIERE-ს წარმომადგენლებმა ორიოდე სიტყვის თქმა იმ ფეხბურთელს თუ სთხოვეს, რომელმაც საფეხბურთო კარიერაში ალმასვლა სწორედ „ბაიერნში" დაიწყო და იქვე როგორც გუნდის კაპიტანმა შარშანწინ დაასრულა.

მათეუსმაც ცხადია, „ბაიერნის" თამაშში კარგი ვერაფერი შენიშნა და კრიტიკას მოჰყვა. „გუნდს მონდომება აკლია, ფეხბურთელებს თითქოს სტიმული აღარ აქვთ. შეხედეთ, პიზარო აშკარა მომენტს აცუდებს და ვითომც არაფერი, თავის თავზე არც კი ბრაზდება. ყოველივე ამის მერე იგი უნდა დაფიქრდეს, ეგებ სხვა საქმისთვის მოეკიდა ხელი. სხვებზეც იგივე ითქმის. გუნდი აშკარად მოშლილია. ახლა ყველაფერი ბეკენბაუერზეა დამოკიდებული. მან უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები. იგი ერთადერთია, ვისაც სიტუაციის გამოსწორება შეუძლია, რადგან არავის აქვს ისეთი ავტორიტეტი „ბაიერნში", როგორიც ფრანცს" — მათეუსის აი, ამ კომენტარმა გააცოფა ჰიონესი.

კომენტარის კომენტარი კი ასეთი იყო: „კაცმა რომ მაგას მოუსმინოს, ისეთი შთაბეჭდილება დარჩება, თითქოს თავად ყველაფერი მოეგოს და არასდროს დამარცხებულიყოს. კი ვიცი, რაც ალაპარაკებს სინამდვილეში მათეუსს, კერძოდ ის, რომ კარიერის დასრულების მერე კლუბის დირექტორატში დარჩენა უნდოდა, მაგრამ სურვილი ვერ აისრულა. ახლა კი მას ერთს ვპირდები. სანამ მე და კარლ ჰაინც რუმენიგე კლუბში ვიქნებით და ჩვენს სიტყვას ფასი ექნება, ეგ ჩვენს ახალ სტადიონზე ბილეთს ვერ ეღირსება."

სწორედ ამ ბოლო წინადადებამ შეურაცხყო მათეუსი.

„ული ჰიონესს ჩემი სახალხოდ შეურაცხყოფის უფლებას არ მივცემ, არც ჩემს სახელს წავაბილწინებ. მისმა სიტყვებმა ძალიან გამანაწყენა და გული დამწყვიტა. იგი ჩემი მეგობარი არასდროს ყოფილა, არც მაშინ, როცა „ბაიერნის" კაპიტანი ვიყავი. პირიქით, მაშინაც გაღამტერებული იყო, ჩემს დაცვაზეც არასდროს უფიქრია, მაშინ როცა მაგალითად, შოლისა და ეფენბერგისთვის არაერთხელ შეუწევია სიტყვა. მას თავისი ნაბიჯები ჩემთვის არასოდეს აუხსნია. იმედია, მას ეყოფა გამბედაობა და შეძლებს ყველაფერზე პასუხი პირისპირ გამცეს — განაცხადა ნაწყენმა მათეუსმა და იქვე დასძინა — ჩემს მიერ პაკეტის გაგზავნა სიმბოლური აქტი იყო. მე კვლავაც ვრჩები „ბაიერნის" ქომაგად. მე ამ კლუბთან არაერთი ბრწყინვალე მოგონება მაკავშირებს. ამ მოგონებებს კი ვერავინ წამართმევს, მით უმეტეს, ვერც ული ჰიონესი. „ბაიერნის" თამაშებზე კი კვლავაც წავალ, ერთი ევაა, აწი ბილეთის ყიდვა მომიწევს."

აი ასე გაიბზარა მათეუსისა და „ბაიერნის" ურთიერთობა, ის ურთიერთობა, რომლის გაბზარვაც ბევრს წარმოუდგენლად მიაჩნდა. ურთიერთობას კი საძირკველი 1984 წელს ჩაეყარა, როცა ლოთარმა გერმანული გრანდის კარი შეაღო. მაშინ იგი 23 წლის გახლდათ. 1988 წელს იგი იტალიურ „ინტერში" გადავიდა, თუმცა 4 წლის მერე კვლავ მიუნხენში დაბრუნდა.

„ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს იტალიაში არც კი ვყოფილიყავი. იქაც დიდ წარმატებას მივაღწიე, მაგრამ როცა ფრანც ბეკენბაუერმა მიუნხენში დამაბრუნა, ისეთი გრძნობა დამეუფლა, რომ სულ „ბაიერნის" წევრი ვიყავი" — იხსენებს მათეუსი.

კლუბში გატარებული 12 წლის მანძილზე მათეუსი შვიდჯერ გახდა გერმანიის ჩემპიონი, სამჯერ ქვეყნის თასის მფლობელი, ერთხელაც, 1986 წელს უეფას თასი მოიგო. ამ ტიტულებს ჩემპიონთა ლიგის თასსაც დაუმატებდა, მაგრამ 2000 წლის ფინალში „ბაიერნმა" მსაჯის მიერ წამატებულ 3 წუთში 2 ბურთი გაუშვა და „მანჩესტერ იუნაიტედთან" 1:2 დამარცხდა. კლუბის თავკაც ოტმარ ჰიცფელდს კაპიტანი იმ დროს უკვე შეცვლილი ჰყავდა.

უბერებელმა ათმა ნომერმა, როგორც მაშინ მას ეძახდნენ, ბუნდესლიგაში 302 მატჩი ჩაატარა და 85 გოლი გაიტანა, 64-ჯერ ჩაიცვა „ბაიერნის" მაისურა ევროთასებზე, სადაც 8 გოლის გატანა მოახერხა. იგი ყოველთვის გუნდის ლიდერად ითვლებოდა და გუნდის წარმატებებში დიდი წვლილი შეჰქონდა.

„ბაიერნმა" თავისი კაპიტანი და 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ზარზეიმით და გულისამაჩუყებლად გააცილა. ხელმძღვანელებმა, რომელთა შორის ჰიონესიც იყო, კლუბის წინაშე განსაკუთრებული დამსახურების გამო სპეციალური ღირსების ორდენი დაამზადეს და გადასცეს. კლუბის საპატიო წევრობის სიგელიც არ დაიშურეს და თეთრი ოქროს უძვირფასესი საათიც უსახსოვრეს.

ყოველივე ამის მერე კი — ოთხშაბათს „ბაიერნის" ბაზაზე პაკეტი მიიტანეს...

# გერმანელები მსოფლიოს ეპატიჟებიან

**გერმანელები,** რა გასაკვირია, სრული სერიოზულობით ემზადებიან 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობისთვის. ეს პროცესი კი რაოდენ მრავალმხრივი და რთულია, თავადაც კარგად მოგეხსენებათ. მისი ერთ-ერთი ფაზა მუნდიალის ემბლემისა და დევიზის შემუშავებაა.

მუნდიალის ემბლემის ხსენებაზე ალბათ კორეა-იაპონიის ჩემპიონატის ემბლემა წარმოგიდგებათ თვალწინ, მაგრამ გარწმუნებთ, იგი სულ მალე დავიწყებას მიეცემა და მის ადგილს ახალი, წინამორბედისგან სრულიად განსხვავებული ლოგო დაიკავებს.

გერმანელებმა, შეიძლება ითქვას, ეს დავალება ხუთიანზე შეასრულეს. ამ დღეებში მათ საკმაოდ ორიგინალური და არაორდინალური ემბლემა წარმოადგინეს, როგორც თავადვე ნახავთ, ლოგოზე გამოსახულია 006-ის ფორმის სამი ფერადი წრეხაზი მომღიმარი სახეებით, რომლებიც მთელ მსოფლიოს ეპატიჟებიან მუნდიალზე.

ემბლემას ეხმაურება დევიზიც: DIE WELT ZU GAST BEI FREUNDEN, რაც ჩვენებურად სიტყვასიტყვით ასე ჟღერს: „მეგობრები ეპატიჟებიან მსოფლიოს."

მუნდიალის საორგანიზაციო კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტ ვოლფგანგ ნიერსბახის განცხადებით, მათი ემბლემა მხიარული, თავშესაქცევი და ემოციურად დატვირთულია, ხოლო დევიზი ფეხბურთისა და მთელი მსოფლიოს გულღია მასპინძლობას გამოხატავს.

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს

საფეხბურთო კლუბი თბილისის „დინამო" მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი ხელბურთელი
**თამაზ ანთაძე**
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

საკალათბურთო კლუბი „დინამო თბილისი" ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მწვრთნელი
**მიხეილ ასიტაშვილი**
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს



*დიდინიც წავიდა და ონგორენიც მივიდა, მაგრამ მწვრთნეთა ცვლას „ულქერში" ზაზა ფაჩულიას ყოფა არ გამოუსწორებია. გამოსწორება კი არა, ქართველი ცენტრი წინა სეზონთან შედარებით უფრო ნაკლებს თამაშობს. არადა, როგორც თავადაც ამბობს, ახლა ჰაერივით სჭირდება მოედანზე ყოფნა: „წლეულს დრაფტზე იმიტომ ვთქვი უარი, რომ ვიფიქრე, „ულქერში" კიდევ ერთ სეზონს გავატარებ და ნბა-ში უფრო მომზადებული მივალ-მეთქი, მაგრამ ონგორენი დიდინზე მეტად არ მწყალობს. სეზონის ბოლოს კონტრაქტი მიმთავრდება და თუ არაფერი შეიცვალა, ნბა-ში თუ ვერა, რომელიმე ევროპულ გუნდში გადავალ".*

*ამ სიტუაციაში ცოტა არადამაჯერებელია ის, რაც გუშინ ონგორენმა „სარბიელს" უთხრა — ზაზა „ულქერს" სჭირდება. რომ არ გვდომოდა, არ დავიტოვებდით. ფაჩულიას თუ დავთმობთ, მხოლოდ ნბა-სთვის, ევროპულ კლუბებში კი არ გავუშვებთო.*

*როგორც ხედავთ, არაჯანსაღ სიტუაციასთან გვაქვს საქმე — მწვრთნელი კალათბურთელს არ ათამაშებს და გვჭირდებაო, ამბობს, კალათბურთელი კი უკმაყოფილოა. საქმეში უკეთ გასარკვევად დავუკავშირდით „ულქერის" მთავარ მწვრთნელ თოლგა ონგორენს, მერე კი ზაზასაც შევეხმიანეთ*







„ულქერის" მწვრთნელმა თოლგა ონგორენმა ფაჩულია კი აქო, მაგრამ ამით ზაზას რა ხეირი?!

# ეს ვინ ყოფილა?!
## ფაჩულიას თურქეთი მოანატრეს, ევროპა აუკრძალეს, ამერიკა დაუტოვეს

**— ბატონო თოლგა, როგორ დაახასიათებთ ზაზა ფაჩულიას?**

— ზაზა ახალგაზრდა, ძალიან პერსპექტიული კალათბურთელია. მას ბევრი კარგი მონაცემი აქვს, განსაკუთრებით ფარქვეშ, მოხსნებშია ძლიერი. ცენტრის გარდა ზაზას ოთხ ნომერზე, თავდამსხმელადაც შეუძლია თამაში, მაგრამ ჩემი აზრით, ის ყველაზე სახიფათო ფარქვეშაა. „ულქერისთვის" ფაჩულია ძალიან საჭირო კალათბურთელია.

**— თუ გჭირდებათ, რატომ არ იყენებთ? ზაზა ამ სეზონში იშვიათად თამაშობს.**

— რომ არ გვჭირდებოდეს, გუნდში არ გავაჩერებდით, ზაზას დახმარებას „ულქერი" არცთუ იშვიათად საჭიროებს. ხუთეულში კი იმიტომ ვერ ხვდება, რომ ჩვენს ძირითად ცენტრ ჯოზეფ ბლერზე უკეთ ვერ თამაშობს. ისე კი, ძალიან მონდომებული და მშრომელი ბიჭია, წინ დიდი მომავალი აქვს, მაგრამ ახლა ჯერ არაა იმ დონეზე „ულქერის" ხუთეულში რომ დამკვიდრდეს.

**— ხუთეულში თამაშს, ალბათ, არც ზაზა ითხოვს...**

— თურქეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში 25 წუთი ვათამაშე და საკმაოდ კარგადაც გაისარჯა, 16 ქულა დააგროვა.

**— მაგ მატჩიდან ორ დღეში ევროლიგაში „შლიონსკის" შეხვედით და ფაჩულია მხოლოდ 2 წუთი ათამაშეთ. მეტი ხნით რატომ არ ენდეთ?**

— ზაზას ჯერ თურქეთის ჩემპიონატში აქვს თავისი ძალა დასამტკიცებელი, არათუ ევროლიგაში. არ ვამბობ, თუ ვათამაშებ, თავს შეირცხვენს-მეთქი, მაგრამ ალბათ თქვენც იცით, ბლერი საუკეთესო ფორმაშია და მისი უთამაშებლობა გაუმართლებელი იქნებოდა.

**— წინა სეზონში „ულქერს" მურათ დიდინი რომ წვრთნიდა, უთამაშებლობის გამო ზაზას კლუბის დატოვება სურდა და ფაქტობრივად თქვენს გამო დარჩა. ამბობდა, ონგორენი მაინც მათამაშებსო, მაგრამ...**

— ვიცი, ზაზას დიდინის გუნდიდან წასვლა უნდოდა, მაგრამ მას მოქმედი კონტრაქტი ჰქონდა. ისე, ფაჩულიასთვის მაშინ ხომ კარგი იყო „ულქერი", სრულიად ახალგაზრდა გუნდში რომ ჩარიცხა? კიდევ ერთხელ ვიტყვი, ჩვენ გვჭირდება ზაზა და არსადაც არ გავუშვებთ, თუ ნბა-ს ვარიანტი არ გამოუჩნდა.

**— როგორც ვიცი, „ულქერთან" ზაზას ამ სეზონის ბოლოს უმთავრდება კონტრაქტი...**

— არ ვიცი რა როგორაა, მაგრამ ზაზას ევროპულ გუნდებს არ დავუთმობთ. ის „ულქერის" გამოზრდილია და ყველაზე კარგად ჩვენ ვიცით მისი ავ-კარგი. სანამ ჩვენ არ მოვისურვებთ, ნბა-ს კლუბების გარდა მისით სხვა გუნდები ვერ ისარგებლებენ. სად უნდა წავიდეს, ზაზა ჯერ მხოლოდ 19 წლისაა.

**— რას ფიქრობთ, შეძლებს ფაჩულია ნბა-ში თამაშს?**

— ნბა-ში მოხვედრა მისი ოცნებაა და მხოლოდ ეს აზრი უტრიალებს თავში. ალბათ, მოვა დრო და ზაზა ამერიკაში წავა, მაგრამ ამჯერად მას კლასის ამაღლება და გამოცდილების დაგროვება სჭირდება.

**— ალბათ გსმენიათ ნიკა ცქიტიშვილზე, წლევანდელ დრაფტში „დენვერმა" მე-5 ნომრად რომ აირჩია. მან და ზაზა ფაჩულიამ შარშან ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ორი მატჩი ითამაშეს საქართველოს ნაკრებში და ორჯერვე ფაჩულია გახდა საუკეთესო. ახლა ცქიტიშვილი „დენვერში" საშუალოდ 10-12 წუთს თამაშობს, ფაჩულიას კი „ულქერის" სკამიდან ადგომა ენატრება...**

— ცქიტიშვილს ალბათ ფაჩულიაზე უკეთესი მონაცემები აქვს და იმიტომაცაა ნბა-ში, მაგრამ, როგორც გამოჩნდა, ნიკას ამერიკაში თამაში ჯერ გაუჭირდება. ისე კი, თუ ნიკას და ზაზას ადარებთ, გაგახსენებთ, რომ არც ცქიტიშვილი თამაშობდა „ბენეტონში" საკმარისად. ევროლიგაში სულაც თითებზე დასათვლელი წუთებით გადიოდა მოედანზე.

*ონგორენის შემდეგ ზაზა ფაჩულიას დავუკავშირდით და პირველად კონტრაქტზე დავეკითხეთ...*

**— „ულქერთან" კონტრაქტი სეზონის ბოლოს მიმთავრდება. ისე, თუ ახლავე გამიშვებენ, დიდი სიამოვნებით წავალ.**

**— ცოტა ხნის წინ თოლგა ონგორენს ველაპარაკეთ და გვითხრა, არ ვიცი კონტრაქტი როდის უმთავრდება, მაგრამ თუ ნბა-ში წასვლის ვარიანტი არ გამოუჩნდა, არსად გავუშვებთო. შეუძლიათ შენი გუნდში დაკავება?**

— არანაირად. კონტრაქტი სეზონის ბოლოს დამიმთავრდება და ალბათ წავალ „ულქერიდან". თუ წინააღმდეგნი იქნებიან, ჩემი მენეჯერი მოაგვარებს გუნდის ხელმძღვანელობასთან საქმეს. და თუ არ დაიშლიან, ყველაფერს სასამართლო გადაწყვეტს. მთავარია, რომ მართალი ვარ.

**— ონგორენი დიდინზე უარესი აღმოჩნდა, რას ფიქრობ, რატომ არ გათამაშებს?**

— მისგან ამას არ ველოდი. ონგორენმა იცის, რომ მე ამერიკაში მსურს წასვლა და ამისთვის გამოცდილების შეძენა მჭირდება, ამის მიუხედავად ძალიან ცოტას მათამაშებს. თუ დიდინის დროს, საშუალოდ, 10 წუთი ვთამაშობდი, ახლა 8 წუთით გავდივარ მოედანზე. ვერ ვიტყვი, ჯინში მიდგას-მეთქი, მასაც სურს, ჩემი ნბა-ში წასვლა, მაგრამ ჯოზეფ ბლერს მაინც ბოლომდე ტვირთავს. ბლერი კი, როგორც ამბობენ, დღეს საუკეთესო ცენტრია ევროპაში.

**— ონგორენის თქმით, „ულქერს" შენზე დიდი ამაგი აქვს და ევროპული კლუბებისთვის არ ეთმობი...**

— ეს მართალია, მაგრამ მე ჩემი გეგმა მაქვს. დრაფტში წლეულსაც შემეძლო მონაწილეობა, მაგრამ უარი ვთქვი, მინდოდა, ევროპაში კიდევ უფრო მეტი გამოცდილება შემეძინა და ნბა-ში ისე წავსულიყავი. ახლა კი რა გამოდის, შარშანდელზე ნაკლებს ვთამაშობ.

**— ამ სეზონის შემდეგ დრაფტში თუ გადაწყვეტ მონაწილეობას, წარმატების იმედი გექნება?**

— ვერაფერს ვიტყვი, თუ ასე გაგრძელდა, ალბათ, დრაფტზე მაღალი შედეგის იმედი არ უნდა მქონდეს. თუ ამერიკაში არ წავალ, სხვა ევროპულ კლუბში გავაგრძელებ კარიერას. ისე კი, შარშანდელთან შედარებით საგრძნობლად მოვუმატე, ვარჯიშებზეც კარგად ჩანს ჩემი პროგრესი, მაგრამ თუ არ მათამაშებენ, ვინ შეიტყობს ჩემს წინსვლას? არადა, აქაური პრესაც და ნბა-ს სკაუტებიც არაერთხელ დაკავშირებიან „ულქერის" მწვრთნელს და ჩემი ბედით დაინტერესებულან. ყველა ცდილობს, გაიგოს, ასე ცოტას რატომ მათამაშებენ.

**— ნბა-ს სკაუტები ახსენე და ჯერ ადრე არაა მათი ევროპაში გამოჩენა?**

— წლეულს რაღაც ნაადრევად გამოჩნდნენ თურქეთში. ისე, რა ვიცი, იქნებ აქამდეც ამ დროს ჩამოდიოდნენ, ახლა კი ბევრ მათგანს პირადად ვიცნობ. ნბა-ს სკაუტები თურქეთის ჩემპიონატის თითქმის ყველა ლიდერის მატჩს ესწრებიან და ჩემი უთამაშებლობა, როგორც გითხარით, თურმე მათაც უკვირთ.

**ირაკლი ბერტაია**
**გაგა ხუციშვილი**

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ამ გულს თუ ვერ გაუგებთ...

## სტეფანიამ საკუთარი მოხსნა მოხსნა

19 ნოემბერი

**მილუოკი 93:97 მაიამი**

მილუოკი: კასელი (13), ალენი (24), ტომასი (10), მეისონი (9), გაზურიჩი (3); კუკოჩი (13), რედი (9), ოლი (1), კიმი (3), ჯონსონი (2)

მაიამი: ბუსტი (19), ჯონსი (22), კ. ბატლერი (20), ალენი (16 ქულა, 13 მოხსნა), გრანტი (9); სტეფანია (28 წუთი, 9 ქულა, 15 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება), ჯეიმსი (2), მაუსი, ელისი

**დალასი 98:72 ლეიკერსი**

დალასი: ნოვიცკი (18 ქულა, 17 მოხსნა), ფინლი (18 ქულა, მოხსნა), ბრედლი (16 ქულა, 12 მოხსნა), ნეში (21)
ლეიკერსი: ბრაიანტი (16)

**მინესოტა 110:106 მემფისი**

ძირითადი დრო 98:98

მინესოტა: გარნეტი (34 ქულა, 22 მოხსნა, 6 პასი), ტრენტი (19)
მემფისი: უილიამსი (14), გასოლი (12), ბეტიე (12)

**სიეტლი 84:101 ორლანდო**

სიეტლი: ლუისი (23), პეიტონი (14), მეისონი (14)
ორლანდო: მაკგრეიდი (41 ქულა, 12 მოხსნა, 4 დაფარება), არმსტრონგი

**ნიუ ორლეანი 99:98 ფილადელფია**

ნიუ ორლეანი: მაშბურნი (37), დევისი (21)
ფილადელფია: აივერსონი (38), მაკკი (18)

**იუტა 99:76 ფინიქსი**

იუტა: მელოუნი (23), კირილენკო (20)
ფინიქსი: მარბერი (18)

**საკრამენტო 111:98 ჩიკაგო**

საკრამენტო: კრისტი (22), ჯექსონი (22), ვებერი (18)
ჩიკაგო: ბაქსტერი (17), კროუფორდი (16), რობინსონი (15)

**ჰიუსტონი 97:80 კლივლენდი**

ჰიუსტონი: მობლი (19), ფრენსისი (18), გრიფინი (17)
კლივლენდი: ილგაუსკასი (24), დევისი (19)

ვლადიმერ სტეფანიამ ყოველთვის ასე რომ ითამაშოს, „მაიამის" სასტარტო ხუთეულში ადგილს ვერავინ შეეცილება.

„კერონ ბატლერმა, ვლადიმერ სტეფანიამ და მალიქ ალენმა ერთდროულად ამოიღეს თავიანთი გულები და „მაიამის" ასე ძვირფასი და საჭირო გამარჯვება მოუტანეს" — წერს „ASSOCIATED PRESS"-ი.

ვოვა სტეფანიას ძალიან ბევრი არ ჩაუგდია, მაგრამ ძალიან ბევრი მოხსნა. მან ხელებში მოიგდო ხუთი მაიამელთა და ათი მილუოკელთა აცილებული ნატყორცნი და კარიერის ძველ, შარშან „შარლოტ ჰორნეტსთან" დამყარებულ პირად რეკორდს — 12 მოხსნას, სამით გადააჭარბა.

იმ საღამოს მილუოკიში მობურთალი მაიამელები იშვიათ ხალისს ავლენდნენ, განსაკუთრებით დამწყები კალათბურთელები. ეგაა, ცენტრად გამწესებულ თმებჩაწნულ თავდამსხმელ ბრაინ გრანტს იმ დღეს ყველაფერი კარგად ვერ მისდიოდა და პატ რაილიმ ის სტეფანიათი შეცვალა. ვოვა კარგად ჩაჯდა მატჩის რიტმში და სულ იოლად ასცდა ათეულ მოხსნას. ჩვენებური ორივე ფარზე აქტიურობდა და ქულა-მოხსნებთან ერთად სხვა სარგებელიც მოჰქონდა. ერთ ეპიზოდში ვოვამ ისე ლაზათიანად დაუფარა წოწოლა ვეტერან ხორვატ ტონი კუკოჩს, რომ პატ რაილიც ალაფრთოვანა.

იმ დღეს სხვებიც შესანიშნავად ირჯებოდნენ. განსაკუთრებით, როგორც ოკეანგაღმური პრესა წერს, მალიქ ალენი და კერონ ბატლერი. ალენმა სტეფანიას დარად კარიერაში უმეტესი, 13 მოხსნა მიიხვეჭა, ხოლო ახალბედა ბატლერმა სეზონში (კარიერაშიც) უმეტესი, 20 ქულა. ბატლერი სხვებზე მეტად იყო მოწადინებული. ის წარმოშობით მილუოკელია და „მილუოკისთან" თამაშში, რომელსაც მისი ბარე 40 (!) ნათესავ-ჯალაბი ესწრებოდა, თავის გამოჩენა სწორედაც რომ სურდა.

მატჩი მთლიანობაში „მაიამის" უპირატესობით წარიმართა. საზოგადოდ „ჰითი" წლეულს ერთი ბედოვლათი გუნდია და თამაშების მოგება ეძნელება, მაგრამ ახლა ფლორიდელებმა დიდი ჟინი გამოამჟღავნეს. ისინი მთელი მატჩის განმავლობაში ლიდერობდნენ რამდენიმე ქულით და ბოლო მეოთხედს 12-ქულიანი უპირატესობით შეხვდნენ. აქ „მილუოკიმ" ბოლოჯერ გაიბრძოლა, რეი ალენის, კუკოჩისა და ტიმ ტომასის მეცადინეობით სხვაობა სამ ქულამდე დაიყვანა. ალენის სამქულიანის შემდეგ „მილუოკი" 93:96 წამოეწია სტუმრებს, როცა მატჩის დასრულებამდე ნახევარი წუთი რჩებოდა, მაგრამ „ხარირმებმა" მეტი ვერ შეძლეს. საფინალო სირენამდე 4 წამით ადრე ედი ჯონსმა, რომელიც წლეულს ერთობ უგერგილოდ ირჯება, ერთი საჯარიმო ჩააგდო და ყველა გზა მოუჭრა „ბაქსს".

„მაიამიმ" სეზონში მეორედ მოიგო და ატლანტის დივიზიონის ბოლო ადგილი არანაკლებ ბეჩავ „ნიუ იორკს" გადაულოცა.

იმ საღამოს სხვაც არაერთი საინტერესო მატჩი გაიმართა. „ლეიკერსი" უშაქილონილოდ რა ხვითოცაა, კიდევ ერთხელ გამოჩნდა. ბოლო სამი სეზონის გრიალით მომგები ლოსანჯელესელები „დალასს" სტუმრობდნენ. თამაშს „ლეიკერსის" ჯიბესქელი პატრონი ჯერი ბასიც ესწრებოდა, რომელიც გუნდს გასამხნევებლად ჩაჰყვა დალასში. ერჩივნა, შინ დარჩენილიყო, ტელევიზორში ეცქირა თავისი გუნდის მორიგი მარცხისთვის და უბრალო მოკვდავი ქომაგივით არ გამოეხატა გრძნობები და ემოციები. „ლეიკერსს" ამ თამაშში გამარჯვების მისხალი შანსიც არ ჰქონდა. კობი ბრაიანტი ჩემბერლენი არაა და ყოველ თამაშში 40 ქულას ვერ ჩააგდებს. რომც ჩაეგდო, ალბათ მაშინაც ვერ გამოსტაცებდა სანუკვარ გამარჯვებას მასპინძელთა კარგად გაზეთილ მანქანას. დღემდე დაუმარცხებელმა „დალასმა" იოლად წააქცია ჩემპიონი და სეზონის მე-11 ზეობა ჩაიწერა.

„დალასივით" „ტრადიცია გააგრძელა" და ისევ წააგო ჯერაც გაუხარელმა „მემფისმა". „დათვებს" ვერც ახალი მომთვიენიერებელი ჰუბი ბრაუნი შველის. ეს მოხუცებული კაცი, 69 წლის ბაბუა, აგერ, მესამე თამაშს აგებს ახალ პოსტზე. არადა, „მემფისი" ძალიან მიუახლოვდა ნანატრ გამარჯვებას, თითქმის აჯობა „მინესოტას", მაგრამ ძირითადი დროის 98:98 დამთავრების შემდეგ 8:12 დათმო ოვერტაიმი და კიდევ უფრო ღრმად ჩაიძირა.

**ირაკლი ფირცხალავა** 




REUTERS ფოტო

იტანჯება კენტად დარჩენილი კობი ბრაიანტი

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკის დივიზიონი** | | | |
| ნიუ ჯერსი | 7 | 3 | 72,7 |
| ფილადელფია | 7 | 4 | 63,6 |
| ბოსტონი | 6 | 4 | 60,0 |
| ორლანდო | 7 | 5 | 58,3 |
| ვაშინგტონი | 6 | 5 | 54,5 |
| მაიამი | 2 | 7 | 22,2 |
| ნიუ იორკი | 2 | 8 | 20,0 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ინდიანა | 8 | 1 | 88,7 |
| დეტროიტი | 8 | 3 | 72,7 |
| ნიუ ორლეანი | 8 | 3 | 72,7 |
| ატლანტა | 6 | 4 | 60,0 |
| მილოუკი | 5 | 5 | 50,0 |
| ტორონტო | 4 | 6 | 40,0 |
| ჩიკაგო | 4 | 7 | 36,6 |
| კლივლენდი | 2 | 10 | 16,7 |
| **დასავლეთის კონფერენცია** | | | |
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| დალასი | 11 | 0 | 100,0 |
| ჰიუსტონი | 6 | 3 | 66,7 |
| სან ანტონიო | 7 | 4 | 63,6 |
| მინესოტა | 6 | 6 | 50,0 |
| იუტა | 5 | 7 | 41,7 |
| დენვერი | 2 | 8 | 20,0 |
| მემფისი | 0 | 11 | 00,0 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| სიეტლი | 8 | 3 | 72,7 |
| საკრამენტო | 8 | 4 | 66,7 |
| ფინიქსი | 5 | 4 | 55,6 |
| პორტლენდი | 4 | 6 | 40,0 |
| კლიპერსი | 4 | 7 | 36,4 |
| ლეიკერსი | 3 | 8 | 27,3 |
| გოლდენ სტეიტი | 3 | 9 | 25,0 |




AP ფოტო

ვლადიმერ სტეფანია კარგად ისროდა და კიდევ უკეთესად სხვათა ცუდად ნასროლებს ხსნიდა



NHL რეგულარული ჩემპიონატი




REUTERS ფოტო

ედმონტონელთა მეკარე ტომი სალო ჩიკაგოელთა დარტყმულს თავგანწირვით ჩაუწვა

# იშვიათია: მადლიერი ჰიჩკოკი

19 ნოემბერი

**რეინჯერსი 3:2 ანაჰაიმი** *2:0 0:2 0:0 1:0*

1:0 მესიე (3), 2:0 ლინდროსი (13), 2:1 კალენი (24), 2:2 სალეი (39), 3:2 ბური (61)

ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. რეინჯერსის ლიდერებს, ერიკ ლინდროსს და პაველ ბურეს, 12 თამაშის განმავლობაში გოლი არ გაეტანათ და ანაჰაიმთან გატეხეს ნავსი. განსაკუთრებით ლამაზი გამოდგა „რუსული რაკეტის" საოვერტაიმო შაიბა, რომლითაც ბურემ თავისი მეტსახელი სავსებით გაამართლა — მის წინ სამი მეტოქე იდგა, მაგრამ საოცარი სისწრაფით გასრიალებულს ხელი ვერავინ შეუშალა. მეკარე ჟან სებასტიან გიგერსაც ოსტატურად გაუმკლავდა.

„ზოგჯერ ხუთი მეტოქის მოტყუებაც გამოგდის... თუმც ეს არც ისე ხშირად ხდება" — თქვა ნამატჩევს კმაყოფილმა ბურემ.

**კაროლინა 4:4 ოტავა** *0:2 1:0 3:2 0:0*

0:1 სპეცა (3), 0:2 ჰავლატი (19), 1:2 კოული (22), 2:2 ბატალია (43), 3:2 ფრენსისი (44), 3:3 ჰოსა (46), 4:3 ბრინდამორი (52), 4:4 ბონკი (54)

კაროლინამ ბოლო 11 მატჩში პირველი ქულა იშოვა.

**ვაშინგტონი 2:3 სან ხოსე** *0:0 0:2 2:1*

0:1 სელიანე (28), 0:2 მარლო (30), 1:2 ნიულენდერი (43), 1:3 ნოლანი (50), 2:3 გრირი (53)

სანხოსელმა პატრიკ მარლომ ზედიზედ მეხუთე მატჩში გაიტანა, თუმც მოგების მთავარი სულისჩამდგმელი მაინც მეკარე ევგენი ნაბოკოვი გახლდათ. სეზონის დასაწყისში გაფიცული გოლკიპერი ჩვეულ ფორმას იბრუნებს. მან ამ მატჩში 46 დარტყმა მოიგერია. მარტო იარომირ იაგრმა რვაჯერ შეამოწმა მისი სიმტკიცე, თუმც ამაოდ.

**ტამპა 2:3 ფილადელფია** *1:1 1:2 0:0*

1:0 ლეკავალიე (7), 1:1 განიე (9), 1:2 რეჩიკი (25), 1:3 ლეკლერი (31), 2:3 კოფი (33)

რა სიმაღლეებსაც არ უნდა უწიოს ტამპამ, მისთვის ფილადელფია მაინც ყველაზე მოუხერხებელ მეტოქედ რჩება. ფილადელფიას ბოლო ხუთი შეხვედრიდან ვერცერთი მოუგო „მფრინავები" ისე ეკვეთნენ მეტოქეს, თავიანთი სიტყვაძუნწი თავკაცი კენ ჰიჩკოკიც კი ალაფრთოვანეს. „დიდებული მატჩი ჩავატარეთ. ჩვენმა ყველა წამყვანმა მოთამაშემ ჩინებულად გაართვა საქმეს თავი და დამსახურებულადაც გავიმარჯვეთ."

**ტორონტო 2:0 ბოსტონი** *0:0 0:0 2:0*

1:0 რენბერგი (42), 2:0 ჰილი (45)

ტორონტოს მეკარე ედ ბელფორმა თითქმის შეუძლებელი შეძლო, ბოსტონს გოლი არ გაატანინა და ამ სეზონში პირველი, ხოლო კარიერაში მე-60 შატაუტი მიითვალა. ტრავმირებული ალექსანდრ მოგილნის ნაცვლად მოთამაშე პოლ ჰილიმ კი ივაჟკაცა და გოლი გაიტანა.

**ნიუ ჯერსი 4:3 ბუფალო** *0:1 0:1 3:1 1:0*

0:1 ბრაუნი (10), 0:2 გრეტონი (33), 1:2 ტვერდოვსკი (43), 2:2 მე[illegible] (50), 3:2 ფრიზენი (51), 3:3 დიუმონი (56), 4:3 ნიდერმაიერი (62)

ორმა ფანტასტიკურმა პერიოდმაც ვერ მოუტანა ბუფალოს ესოდენ ნანატრი მოგება. ბოლო მესამედში „[illegible]ებმა" ორშაიბიანი უპირატესობა გაფლანგეს და აგერ, უკვე 12 მატჩამდე გაზარდეს ვერმოგებათა სერია.

**ატლანტა 4:3 ფლორიდა** *0:2 2:1 1:0 1:0*

0:1 ოზოლინში (5), 0:2 იოკინენი (13), 1:2 ტრამბლე (24), 1:3 იოკინენი (33), 2:3 ბუცაევი (35), 3:3 შტეფანი (54), 4:3 მაკიერნი (64)

ამიერიდან ატლანტას საქმეები წესით უკეთ უნდა წავიდეს. ბოლო 8 მატჩში მოგების შემდეგ „თრეშერებმა" ოდნავ გაიუმჯობესეს სატურნირო მდგომარეობა, ხოლო ორშაბათს მეკარის პრობლემაც მოაგვარეს — ბოსტონიდან გადაიბირეს ბაირონ დაფო. ბედის ირონიით ფლორიდასთან მატჩში კარგად იასპარეზა პასი ნურმინენმა, რომლის დღეებიც ატლანტაში ალბათ დათვლილია დაფოს მისვლის შემდეგ.

**მინესოტა 2:2 ლოს ანჯელესი**

*0:1 1:1 1:0 0:0*

0:1 პალფი (19), 1:1 გაბორიკი (23), 1:2 ფროლოვი (32), 2:2 ჟოლტოკი (46)

**ედმონტონი 3:1 ჩიკაგო** *2:0 0:1 1:0*

1:0 სტეიოსი (4), 2:0 მორო (18), 2:1 ბერეზინი (26), 3:1 რ. სმიტი (55)

ედმონტონიც მომჯობინდა, ბოლო 4 მატჩში მესამედ მოიგო, რაც პირველ პერიოდში უმცირესობაში გატანილმა ორმა შაიბამ (!) განაპირობა. ორივე ჩიკაგოელი მცველების უხეშ შეცდომას მოჰყვა, მაგრამ ნამატჩევს ყველაზე მეტად მათი მეკარე ჟოსლენ ტიბო წუხდა: „უეჭველად ჩემი ბრალია მოროს გოლი. ასეთი დარტყმების 99 პროცენტს ვიგერიებ ხოლმე, მაგრამ ამჯერად შევცდი".

**კალგარი 0:5 დეტროიტი** *0:1 0:2 0:2*

0:1 ლარიონოვი (18), 0:2 მაკარტი (23), 0:3 ფიოდოროვი (23), 0:4 მოლტბი (46), 0:5 დრეიპერი

ეს მატჩი ყველა დანარჩენისგან იმით განსხვავდებოდა, რომ აქ დაძაბული ბრძოლა არ ყოფილა. კალგარის ამ ბოლო დროს მიავიწყდა გოლების გატანა (2 შაიბა 6 მატჩში) და აბა, ათამაშებულ ჩემპიონთან რას გააწყობდა.

**სამველ ლარიბიანი**

# საუბარი დებიუტში, მიტელშპილში, ენდშპილში მოთელვითა და გადადებული დიალოგით

**ბლედის საჭადრაკო ოლიმპიადას ესწრებოდა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი, რომელმაც ამ შეჯიბრებასთან დაკავშირებით „სარბიელის" მკითხველებს ერთი წერილით უამბო. მაშინ იგი მკითხველს მსოფლიოს უპირველეს მოჭადრაკე გარი კასპაროვთან ინტერვიუსაც შეპირდა. მეტად საინტერესო ინტერვიუ, რომელშიც ძირითადად საუბარია პოლიტიკაზე, ჭადრაკზე და კასპაროვის პირად ცხოვრებაზე, საკმაოდ ვრცელი გამოვიდა, ამიტომ მას გაგრძელებებით შემოგთავაზებთ**






ემზარ ზენაიშვილი, გარი კასპაროვი და მისი ავტოგრაფიანი სურვილები „სარბიელი"-ს მკითხველებს

## მოთელვა

სლოვენიის ქალაქ ბლედში „ტეპლიცე" ერთ-ერთ რესპექტაბელურ და პრესტიჟულ სასტუმროდ ითვლება. ფიდეს მაღალჩინოსნები და რამდენიმე ქვეყნის მოჭადრაკეები სწორედ აქ ცხოვრობენ. აქვეა გარი კასპაროვის ლუქსიც.

იმ დღეს საჭადრაკო ოლიმპიადაზე მე-11 ტური თამაშდებოდა. ჩვენებს მეტად პრინციპული მატჩები ელოდათ: ქალებს — ვიეტნამელებთან, ვაჟებს — უნგრელებთან, რომელთა შედეგებს სატურნირო ცხრილში ადგილების განაწილებისას საბედისწერო მნიშვნელობა ჰქონდა. ის იყო დარბაზისკენ წასვლა დავაპირე, სასტუმროს ჰოლში გარი კასპაროვი რომ გამოჩნდა. ჩვენი საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტს შეეხმიანა, დღეს რას შვებით, უნგრელებს ომს ხომ უცხადებთო.

— რა თქმა უნდა, მხოლოდ ერთი ზურაბის გარეშე, აზმაი ვერ ითამაშებს — უპასუხა ნინო გურიელმა. ალბათ, მოესმაო და კითხვა შეუბრუნა, როგორ, თეთრებით ზურაბი არ თამაშობს ლეკოს წინააღმდეგ? ეს ხომ აუნაზღაურებელი დანაკლისია? — და ხუმრობით დაამატა, ხომ არ გღალატობთ? შემდეგ მე მომიბრუნდა, მოდი, დღეს შევხვდეთო.

— კი, მაგრამ, დღეს ხომ თქვენ თამაშობთ? მე ასეთი მცდარი ინფორმაცია აღმომაჩნდა. ამაზე ხელები გაშალა და არტისტულად, საკმაოდ ხმამაღლა წამოიძახა — ხომ მაქვს უფლება, ხორვატებთან მაინც დავისვენოო.

მე ამ უფლებას, ცხადია, ვერ წავართმევდი გარი კიმის ძეს და ისღა დამრჩენოდა, რომ შეხვედრის დრო დაგვეზუსტებინა. აქვე, დღეს 16 საათზე, ოდნავი დაყოვნებით მიპასუხა.

დათქმულ დროს არ გამოჩენილა, თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ კი სასტუმროს ჰოლში შემოვიდა, ბოდიში მომიხადა დაგვიანებისთვის და თავის ნომერში ასვლა შემომთავაზა. აქ ცივა, ჩემთან ჯობია, თან სატელეფონო ზარებსაც ვუპასუხებო.

ნომერი, როგორც ველოდი, არეულდარეული დამხვდა: აულაგებელი საწოლი, იატაკზე მიყრილ-მოყრილი ტანსაცმელ-ფეხსაცმელი, წყლით სავსე ბოთლები, სამი კომპიუტერი, ამდენივე მობილური ტელეფონი, ცხადია, საწყის მდგომარეობაში გაშლილი ჭადრაკის დაფა, გვერდით კი შოკოლადის ფილები...

მაგიდის მიღმა სავარძელზე მოკალათდა, ზურგსუკან ულმერთოდ დაჭმუჭნული ბალიში ამოიდო, მე კი საჭადრაკო დაფის მეორე მხარეს შემომთავაზა ადგილი, შავი ფიგურებით რომ იყო განწყობილი.

**— ფორას გაძლევთ, თეთრი ფიგურები თქვენია, მაგრამ პირველ სვლას მაინც მე გავაკეთებ.**

გაიღიმა. თუ ხელს გიშლით, დაფას ავიღებო. საჭადრაკო დაფა ხელს სულაც არ მიშლიდა. მხოლოდ ის გავიფიქრე, ნეტავ ოთახში კიდევ ვინმე იყოს, კასპაროვთან პირისპირ საჭადრაკო დაფასთან სურათი რომ გადამიღოს-მეთქი.

**— პირადი დაცვა არ გახლავთ და არც ცალკე ვილაში ცხოვრობთ...**

წამოიწყე, მაგრამ არ დამამთავრებინა...

— პირადი დაცვა არც მყოლია და არც მჭირდება, არც მოსკოვში და არც სხვაგან. მე განსაკუთრებული მნიშვნელობის პოლიტიკური მოღვაწე არ ვარ. ჩემს კოლეგებთან ერთად ვცხოვრობ. ამ ქვეყნიდან ჩემს გაქრობას თუ ვინმე მოინდომებს, მთელი პოლკიც ვერ მიშველის.

**— არსებობს თემები, რომელთა შესახებ შეკითხვების დასმა არ შეიძლება?**

— არა!

— უმალ, დაუფიქრებლად მიპასუხა, მაგრამ იმ წამსვე უკანდასახევი გზა მაინც დაიტოვა, ვფიქრობ, რომ არაო, დეტალები კი არ დაუზუსტებია.

**— თუ წინააღმდეგი არ იქნებით, იქნებ ჩვენი საუბარი ასეთი თანმიმდევრობით ავაგოთ: დებიუტში ცოტა პოლიტიკაზე წავისაუბროთ, მიტელშპილი საჭადრაკო თემატიკას დავუთმოთ, ენდშპილში ზოგად საკითხებსაც შევეხოთ, ხოლო, რაც აქამდე ვთქვით, მოთელვად ჩავთვალოთ.**

— თანახმა ვარ! მხოლოდ, თუ შეიძლება, რამდენიმე სატელეფონო ზარს ვუპასუხებ. ძმისგან ძალზე საჭირო ინფორმაციას ველი.

გარის რომ ღვიძლი ძმა არ ჰყავს, თქვენც კარგად გეცოდინებათ. ბიძაშვილი იგულისხმებოდა.

ოდნავ მოგვიანებით მივხვდი, რომ „მოთელვისთანავე" „იაღლიში" მომივიდა, რაც ნამდვილად არ არის ჩემი რესპოდენტის დამსახურება. გარი ხომ ენაწყლიანია და თუ ჩაირთო, შემდეგ მისი შეჩერება ძნელია. ისე, არცაა საჭირო — კარგად საუბრობს, თანაც — არტისტული ჟესტიკულაციით, მრავალმხრივ, უზარმაზარ ინფორმაციას ფლობს, აზარტულად, ტემპერამენტიანად ჰყვება. ერთი სიტყვით, თუ დრო გაქვს, დაჯექი და უსმინე — დიდი სიამოვნებაა! მაგრამ ვგრძნობდი, რომ რუსეთის გუნდის ლიდერს ტურის დასრულისთვის გული მაინც საჭადრაკო ბატალიების სარბიელისკენ გაუწევდა.

შეცდომა-მეთქი, რომ ვამბობ, იმას ვგულისხმობდი, რომ დებიუტში ძალზე ვრცლად იბაასა კასპაროვმა, პოლიტიკურ თემებზე საუბარი — ეს მისი მხედრით სვლა რომ იყო, ვიცოდი და, საუბრის შუა და დამამთავრებელ ეტაპებზე უკვე მე აღმოვჩნდი ცაიტნოტში — ორმოცზე მეტ დაგეგმილ შეკითხვაზე მსურდა რომ პასუხი მოესწრო.

## დებიუტი

**— თქვენი რეაქცია, შინაგანი შეგრძნება შარშანდელი 11 სექტემბრისა და ამ ცოტა ხნის წინათ — 23 ოქტომბრის მოვლენებზე**

— სექტემბრის ამბებისას მოსკოვში ვიყავი. აფეთქებული შენობა ჩემთვის 1995 წელს ვიშვანათან ანანდთან ჩატარებული მატჩით ასოცირდება, როცა პირველი სვლა ნიუ-იორკის მერმა ჯულიანიმ გააკეთა. მართალი გითხრათ, ინტუიციით ვგრძნობდი, რომ მსგავსი რამ ადრე თუ გვიან მოხდებოდა. ამერიკა ერთადერთ სუპერსახელმწიფოდ დარჩა და თითქმის ათი წელიწადია, რაც ამერიკელები ეიფორიაში არიან. არ შეიძლება ფუნდამენტალისტ ისლამისტებს მოლაპარაკების მაგიდასთან წლობით მიუჯდე. საერთაშორისო ტერორიზმისა და ისლამური სამყაროს მიმართ კომპრომისული და შემრიგებლური კლინტონისეული პოლიტიკა კატასტროფულად დამღუპველი იყო. არაფატს, სადამ ჰუსეინს და მათ მიმბაძველებს ჭკუა დროზე არ ასწავლეს. დაუსჯელობის სინდრომს მიჩვეული ტერორისტები კი კომფორტულად გრძნობენ თავს. ფული მათ არ აკლიათ და, სამწუხაროდ, არც ფანტაზია. ფუნდამენტალური „არაბულ-ისლამური ქუჩა" დამღუპველია კაცობრიობისთვის. ამ მხრივ ერთ-ერთი ნათელი წერტილი თურქეთია და მსოფლიომ უნდა შეძლოს მისი შენარჩუნება (გარიმ, ალბათ, არც კი იცოდა, თურქეთში ხელისუფლების სათავეში ისლამისტები რომ მოვიდნენ — ე.ზ.). ლიბერალურ დემოკრატიასთან ისლამისტები საერთო ენას ვერ მონახავენ. მათ მხოლოდ ჩაკეტილი ქვეყნები, ჩადრით შემოსილი ქალები, ინტერნეტსა და კომპიუტერებს მოწყვეტილი ახალგაზრდობა აძლევთ ხელს. ასე რომ არ გააკეთონ, მოსახლეობა დაფიქრდება — ნავთობი გვაქვს, სიმდიდრე გვაქვს, მაგრამ მაინც ცუდად ვცხოვრობთ. აი, ისრაელი: არაფერი აქვს. მხოლოდ უწყლო და უყველაფრო ხრიოკი ტერიტორია. და მაინც, კარგად ცხოვრობენ. ამერიკელებმა იგემეს საშინელი ძალის დარტყმა და იმედია, გამოფხიზლდებიან.

რაც შეეხება მოსკოვს... მაშინ მე რუსეთში არ ვიყავი. ცხადია, ეს ტერორისტული აქტია, მაგრამ არა ამ სიტყვის კლასიკური გაგებით. საერთოდ, ჩეჩნეთი არ ჯდება საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის სქემაში. ეს არის კრიმინალური გენერალიტეტის, მაფიოზური სტრუქტურების, ბანდიტური დაჯგუფებების და კრემლიდან მათი ადრინდელი და ამჟამინდელი მფარველების საქმე. დიდია კომერციული დაინტერესება. ჩეჩნებსაც მშვიდობა უნდათ. თქვენ რა, დარწმუნებული ხართ, რომ დღეს ყველა, ვისაც ხელთ იარაღი უპყრია, ჩეჩნეთის დამოუკიდებლობაზე ფიქრობს? არამც და არამც! იქ კრიმინალები არიან — ის თაობა მოვიდა იარაღით, რომელსაც რუსების მიმართ ზიზღი, გაუტანლობა, ღვარძლი აქვს. ბევრი მათგანი ოჯახის დაღუპული წევრის სისხლის ასაღებად მთების ადათების შესაბამისად იბრძვის. ჩემი აზრით, ჩეჩნეთის პრობლემა უფრო რეგიონალური ხასიათისაა, დაახლოებით ისეთივე, როგორიცაა ჩრდილოეთ ირლანდიაში, ბასკეთში. ვლადიმირ პუტინი ხელისუფლების სათავეში ჩეჩნეთის ტალღაზე მოვიდა. თითქმის სამი წელიწადი გავიდა და ხალხი დაინტერესდა, ჩეჩნეთს რატომ არ ეშველაო? ასე არ ეშველება! ჯერ იყო და, რუსეთის არმიის უსუსურმა გენერალიტეტმა საქმეს თავი რომ ვერ მოაბა, კონფლიქტის ზონის გაფართოება და ყველა უბედურების გადაბრალება საქართველოსთვის მოინდომა: თითქოსდა, რომ არა პანკისის ხეობა, კარგა ხანია ჩეჩნეთს მოევლებოდაო. სისულელეა და აბსურდი! კარგი, დავუშვათ, არის 50, 100, პა-პა, 200 არაბი პანკისის ხეობაში, ან სადღაც მთებში იმალება. მაგრამ იქ ხომ ასიათასიანი რუსული არმია დგას! რას მიკეთებენ ისინი? კიდევ კარგი, რომ რუსეთს საქართველოს წინააღმდეგ იარაღის გამოყენების საშუალება არ მისცეს.

**— როგორ გესახებათ ჩეჩნეთის საკითხის მოგვარება?**

— ჩეჩნეთი რუსეთის ტრაგედიაა. ომი უნდა შეწყდეს, მაგრამ მე აშშ-ს ამჟამინდელი ხელისუფლებისა და ისრაელის მთავრობის პოლიტიკის გატარების მომხრე ვარ — არავითარი დათმობა! ყველა ბანდიტი და კრიმინალი უნდა განადგურდეს! დრო იწელება. სისხლის ნიაღვარი მატულობს. დასავლეთმა რუსეთს ბევრის უფლება მისცა ჩეჩნეთში. ვერ გამოიყენეს! წარმოიდგინეთ, ებრაელებისთვის ასე რომ გაეხსნათ ხელ-ფეხი, ახლო აღმოსავლეთში დღეს სიმშვიდე და სიწყნარე იქნებოდა. რუსეთის გარკვეულ ძალებს ომისა და სისხლისღვრის შეწყვეტა ხელს არ აძლევთ. ძალზე ძლიერია ომის პარტია მოსკოვში.

**— რუსეთი და სამხრეთ კავკასია. ვერც მეფის რუსეთმა მოახერხა ამ პრობლემის მოგვარება, ვერც ბოლშევიკებმა. ახლაც, ვითომდა დემოკრატიულ რუსეთს არაფერი გამოსდის...**

— რატომ, მეფის რუსეთს სწორედ რომ წესრიგი ჰქონდა კავკასიაში.

**— ისტორიული ფაქტები, ყოველ შემთხვევაში, სხვას ლაღადებენ, გაიხსენეთ XIX საუკუნე. და მაინც, სჭირდება თუ არა სამხრეთ კავკასია რუსეთს? თუ სჭირდება, რატომ ასეთი ხისტი და „ველიკოდერჟავული" პოლიტიკა? თუ არ სჭირდება, რაღას ეპოტინება და პროვოკაციას პროვოკაციაზე, აგრესიას აგრესიაზე აწყობს?**

— რუსეთს არ სჭირდება არც სამხრეთ კავკასია და არც ერთი იქ არსებული ტერიტორია! გავლენის სფეროების განაწილების დრო წავიდა. უკვე XXI საუკუნეა! თუ ძლიერი ხარ, შენს ხალხს და შენს ქვეყანას მიხედე. მეტიც, მე ამ ათი წლის წინათ ერთ-ერთ ამერიკულ ჟურნალში დავწერე და წინასწარმეტყველებასავით გამომივიდა — მაშინ ვამბობდი, რომ რუსეთისა და ამერიკისთვის ორი ძლიერი საფრთხე არსებობს. ეს არის ფუნდამენტალური ისლამი და ჩინეთი-მეთქი. რუსეთის შორეული აღმოსავლეთი წალეკვის პირასაა. რაღაც უნდა მოვიფიქროთ, თორემ ეს ზვავი ისეთი სისწრაფით მოექანება, რომ მალე ყველაფერს წალეკავს.

**— ერთ პერიოდში თქვენ აქტიურად იყავით ჩაბმული დიდ პოლიტიკაში, ახლა კი ეს აღარ იგრძნობა.**

— რა თქმა უნდა, ასეა. და იცით, რატომ? რუსეთს საერთოდ არ აქვს პოლიტიკა.

**— არც საშინაო და არც საგარეო?**

— რა თქმა უნდა. როცა შენ მხარს უჭერ სადამ ჰუსეინის ფაშისტურ რეჟიმს, იქ რა პოლიტიკაზე შეიძლება იყოს საუბარი? თუმც ნატოსკენ სწრაფვას მივესალმები.

**— სიმპათიით ხართ განწყობილი რუსეთის ამჟამინდელი პრეზიდენტისადმი?**

— არა. მე მისთვის ხმა არ მიმიცია. არ მომწონს მისი პოლიტიკა. რას ნიშნავს მართვადი დემოკრატია და ხელისუფლების ვერტიკალი? თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ მომდევნო ვადით უპრობლემოდ აირჩევენ.

**— გვითხარით თქვენეული განმარტება მუდმივი შეკითხვისა — არის თუ არა, ან შეიძლება თუ არა, რომ სპორტი იყოს პოლიტიკის გარეშე?**

— ჭადრაკი!

— უმალ მომიგო და თავად გულიანად გაიცინა.

## მიტელშპილი

**— ღრმად ხართ დარწმუნებული, რომ მაისში პრაღაში ხელმოწერილი დოკუმენტი, რომელიც ოთხი „K"-ს (კასპაროვი, კრამნიკი, კარპოვი, კირსანი — ე.ზ.) ხელშეკრულების სახელითაა ცნობილი, საჭადრაკო სამყაროში განხეთქილებასა და გათიშულობას საბოლოოდ მოუღებს ბოლოს? მისით ხომ ბევრნი არიან უკმაყოფილონი?**

*(აუცილებელი განმარტება: პრაღის ხელშეკრულება ითვალისწინებს ფიდეს ეგიდით მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად მატჩების ციკლისა და გამაერთიანებელი მატჩის გამართვას. მხოლოდ ფიდეს აქვს ექსკლუზიური უფლება ჩაატაროს ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპიონის სახელის მოსაპოვებლად მატჩი. აქამდე განდგომილნი გარი კასპაროვი და ვლადიმირ კრამნიკი თანახმანი არიან ფიდეს ოჯახში დაბრუნდნენ. წინასწარი მონაცემებით, გაისად გაზაფხულსა და ზაფხულში გაიმართება მატჩი კასპაროვსა და ფიდეს ეგიდით ამჟამინდელ მსოფლიოს ჩემპიონს — რუსლან პონომარიოვს შორის, ვლადიმირ კრამნიკსა და დორტმუნდში პრეტენდენტთა ტურნირში გამარჯვებულ უნგრელ — პეტერ ლეკოს შორის. შემოდგომაზე უნდა ჩატარდეს გამარჯვებულთა მატჩი, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონს გამოავლენს. ე.ზ.)*

— ამდენი უთანხმოებით და დაქსაქსულობით ყველანი დავიღალეთ. ამ დასკვნამდე ერთობლივად მივედით. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. პირველ რიგში ეს ვნებს ჭადრაკს, ხელს უშლის მის განვითარებას, ამუხრუჭებს სპორტსმენთა სოციალურ დაცვას. ბუნებრივია, რომ სპორტის ასეთ არეულ სახეობაში ინვესტიციის ჩადება და სპონსორობა არავის უნდა, უფულოდ კი ჭადრაკს პერსპექტივა არ აქვს. ასე რომ, გაერთიანება ყველას ინტერესშია.

**— მაგრამ პრაღის დოკუმენტს ხომ ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს? ბოლომდე კმაყოფილნი არც ისინი არიან, რომელთა ფაქსიმილე თავად ამ შეთანხმებას ამშვენებს. მაგალითად, კრამნიკი კარპოვი, რომ არაფერი ვთქვათ ცნობილ გროსმაისტერთა ცნობილ საპროტესტო წერილზე.**

— ისეთი დოკუმენტის შექმნა, ყველა კმაყოფილი რომ იყოს, შეუძლებელია. კომპრომისების დრო მოვიდა. სამაგიეროდ, ხვალინდელი დღე კარგ პერსპექტივას გვპირდება. პრაღამ უნდა შეცვალოს ფიდე-ს სტრატეგია. მოჭადრაკეებიც მიხვდნენ, რომ ყოველგვარი კონფლიქტი ამ საერთაშორისო სპორტული სტრუქტურის თავკაცებთან უპერსპექტივოა, რადგანაც სხვა შემთხვევაში არსებობს მუდმივი უპასუხო შეკითხვები: სად არის ფიდე? სად არის კასპაროვი?

**— თქვენ მეგობრობდით კირსან ილუმჟინოვთან, ფიდეს პრეზიდენტად მისი არჩევაც მოიწონეთ, შემდეგ კი, ფაქტობრივად, ერთმანეთს მტრად მოეკიდეთ. ამჟამად ისევ დაუახლოვდით ერთმანეთს. და ეს ყველაფერი — სულ რაღაც 5-6 წელიწადში.**

— ჯერ ერთი, მე მხარი არ დამიჭერია კირსან ილუმჟინოვისთვის.

**— ფაქტია, რომ 1995 წელს პარიზში ფიდეს კონგრესზე გამგზავრებამდე თქვენ ერთმანეთს შეხვდით და შემდეგ კონგრესზე ხაზგასმით ითქვა, რომ პრეზიდენტობის კანდიდატს მხარს უჭერს მსოფლიოს ჩემპიონი. თუ არ ვცდები, ეს თქვენ იყავით. და ეს მაშინ, როდესაც ამ საკითხისადმი რუსეთის საჭადრაკო ფედერაციის ოფიციალური პოზიცია ნეგატიური იყო.**

— ყოველ შემთხვევაში, წინააღმდეგი არ ვიყავი. ან რატომ უნდა ვყოფილიყავი? ფიდეს თავკაცად რეკომენდაცია ეძლეოდა ახალგაზრდა, ნიჭიერ და ამბიციურ პოლიტიკოსს, რომლის წინაშე კონკრეტული ამოცანა დასვეს — ჭადრაკში განხეთქილების აღმოფხვრა და მსოფლიოს ჩემპიონის სახელისთვის მატჩების ჩატარება. ამ ამოცანის შესრულებისას ილუმჟინოვმა ბევრი შეცდომა დაუშვა და მართვის ავტორიტარული ფორმის დანერგვა დაიწყო. მეც ოპოზიციაში წავედი. ახლა სხვა სიტუაციაა და არავის აქვს უფლება, ხელი არ შეუწყოს დაწყებულ გაერთიანებას.

**ემზარ ზენაიშვილი**

**ბლედი — თბილისი**

**(გაგრძელება იქნება)**

ეროვნული ბიბლიოთეკა


REUTERS

პორტუგალია — შოტლანდია. სერჟიუ კონსეისაუმ და გარი ნეისმიტმა ტალახში იბურთავეს


REUTERS

საფრანგეთი — იუგოსლავია. მიკაელ სილვესტრი (მარჯვნივ) და მატია კეჟმანი ბურთისთვის იბრძვიან


REUTERS

საფრანგეთი — იუგოსლავიის მატჩის წინ პელე „სტად დე ფრანსზე" შეკრებილებს მიესალმა



REUTERS

ავსტრიელთა კაპიტანმა ანდრეას ჰერცოგმა მეასე სანაკრებო მატჩი ჩაატარა


REUTERS

ოლივერ კანს ჰოლანდიელებმა სამი გოლი გაუტანეს


REUTERS

იტალია — თურქეთი. კრისტიან ვიერი ბიულენთ ქორქმაზის საგოლედ ერთხელ მაინც გაიჭრა

## 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

**III ტური**

**I ჯგუფი**

კვიპროსი 2:1 მალტა

**IV ჯგუფი**

სან მარინო 0:1 ლატვია

**IX ჯგუფი**

აზერბაიჯანი 0:2 უელსი

## ბელგია

**I დივიზიონი**

**გადადებული მატჩი**

სინტ ტრუიდენი 2:2 მუსკრონი

## ჰოლანდია

**თასის I ეტაპი**

დენ ჰააგი 3:2დ.დ. (2:2) დე გრაფშაპი

## ამხანაგური მატჩები

რუმინეთი 0:1 ხორვატია
ესტონეთი 2:0 ისლანდია
სლოვაკეთი 1:1 უკრაინა
ტუნისი 0:0 ეგვიპტე
უნგრეთი 1:1 მოლდოვა
დანია 2:0 პოლონეთი
გერმანია 1:3 ჰოლანდია
საბერძნეთი 0:0 ირლანდია
ჩეხეთი 3:3 შვედეთი
ავსტრია 0:1 ნორვეგია
იტალია 1:1 თურქეთი
საფრანგეთი 3:0 იუგოსლავია
ესპანეთი 1:0 ბულგარეთი
პორტუგალია 2:0 შოტლანდია
ლუქსემბურგი 0:0 კაბო ვერდე
მაკედონია 2:3 ისრაელი



# შაკი კომედიაში

ტრავმირებული შაკ ონილი თავისი „ლეიკერსის“ თამაშებს სცდება, მაგრამ გუნდის ბიჭებთან ერთად ნაირგვარ სალაღობო ამბებში კი მონაწილეობს. ის, ტრეისი მიური და ბრაიან შოუ განთქმული კომიკური სერიალის, „პარკერების“ გმირებს დაამხანაგებიან. კაცებად გადაცმული მონიკი და ივეტ ვილსონი ვითომდა ამათი მწვრთნელები ყოფილან და მცირე ეპიზოდი სერიალისთვისაც მშვენიერი გამოსულა.

REUTERS ლიზ ანჯელესიდან



REUTERS კორდობიდან

# ქალთა კრივობა

კარვახანია, რაც არგენტინაში წესად დაიდეს ქალთა კრივის გამართვა. კორდობაში ატეხილ ქალურ ჯახში იამაიკელმა ალისია ეშლიმ (მარცხნივ) მასპინძელ მარსელა აკუნიას მძიმე ბრძოლაში აართვა ქალთა ფედერაციის (ვიბფ) ბანტამის წონის საჩემპიონო ქამარი.

# ბურთიით დედოფალთან

დევიდ ბექემი და სვენ გორან ერიკსონი ბუკინგემის სასახლეში სვლას გაჩვეული ხალხია. იქ ძნელად რომ რამე მიღება გაიმართოს და ამათ არ დაუძახონ. მით უმეტეს, როცა ელისაბედ II საგანგებოდ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციისთვის მართავს მიღებას. აქვეა ასოციაციის თავმჯდომარე ჯეფრი ტომპსონი. საერთოდ კი, მიღებაზე 75 დარჩეული ინგლისელი მობურთალი და საფეხბურთო მოღვაწე ყოფილა მიწვეული.



REUTERS ლონდონიდან

# გრეის თასი

ეს ერთ-ერთი უძველესი კანადური თასია, გრეის თასი, რომელიც კანადის ბურთაობის ჩემპიონს გადაეცემა ხოლმე. 90 წლის ჯილდო ედმონტონის მერიაში გამოფინეს, რაზანდა ამ უქმეებზე ივი ედმონტონის თანამეგობრობის სტადიონზე უნდა გათამაშდეს იქაურ „ესკიმოზსა“ და „მონრეალალუეტზს“ შორის. წლინახევრის მოსეირე ადამ გლუვოში კი ივრე თამამად მიჭრილა თასთან, რომ დედამისს სამახსოვრო ფოტოც გადაუღია.



REUTERS ედმონტონიდან



REUTERS სტოკჰოლმიდან

# საუკეთესო საუკეთესოებში

„არსენალისა“ და შვედეთის ნაკრების ვიჟმაყ და მამლაყინწურად შეღებილ-თმააფოფრილ ფრედი ლიუნგბერგს შვედეთის საუკეთესო ფეხბურთელობა შეურგია და ჯილდოც განთქმულ შვედ ქალთა, კრისტენ ბელინისა (მარცხნივ) და ანა ლინდბერგისგან მიუღია.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თაყართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge